603 / 13-833


# ლელო

№ 69
(11 218)

1 – 3 სექტემბერი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ლერი ხაბელოვი დღეს, 1 სექტემბერს, პირველად შეაბიჯებს სპორტის დეპარტამენტში, როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი

ვარაუდი გამართლდა: დღეს, 1 სექტემბერს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში ლერი ხაბელოვს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ „აკურთხებენ". ახალი ხელმძღვანელი ამავე დღეს დეპარტამენტის თანამშრომლებს და სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებს შეხვდება.

საკუთარი ინფორმაცია.

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა მსოფლიოს პირველობა

თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსმა *ვლადიმერ კანკავამ* შვეციიდან ტელეფონით შეგვატყობინა, რომ იქ დამთავრებულ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა 44-ე მსოფლიო პირველობაზე რამდენიმე ქართველმა ფალავანმა პირველი შეხვედრები უდანაკარგოდ გაწლეს და მეოთხედფინალამდეც მივიდნენ. ასპარეზობის ეს ეტაპი, სამწუხაროდ, მათთვის შესაძლებლობათა ზღვარი აღმოჩნდა.

54 კგ. წონაში ჩვენებს მონაწილე არ ჰყოლიათ. ჯემალ ფუტკარაძე (58 კგ) XXVIII ადგილზე გავიდა (34 მონაწილე), აკაკი ჩაჩუა (63) — IX (29) იყო, გიორგი ჯინჭველაშვილი (69), ასევე — IX (25), ხვიჩა ბიჩინაშვილი (76) — VIII (27), ემზარ მახარაძე (85) XIX (24), გენადი ჩხაიძე (97) — XII (25), მირიან გიორგაძე (130) — IV (26) მესამე ადგილისთვის ბრძოლა გიორგაძემ 0:6 წააგო ისრაელელ იური ჯივსეიტჩიკთან. სულ მონაწილეობდა 49 ქვეყანა. ჩვენებმა გუნდურ ჩათვლაში დაიკავეს XIII ადგილი. საპრიზო ადგილები კი განაწილდა ასე: 1. რუსეთი — 66 ქულა, 2. კორეა — 36, 3. თურქეთი — 34.

## ბლატერის გუნდი 1998-2000 წლებში

მას შემდეგ, რაც იოზეფ ბლატერი ფიფას ბოლო კონგრესზე, წლეულს, პარიზში (7-9 ივნისი) პრეზიდენტად აირჩიეს, მან მიიჩნია, რომ აღმასრულებელ კომიტეტშიც ცვლილებები უნდა მომხდარიყო, მისი შემწეობით ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრები გახდნენ ნიკოლას ლეოსი, ისმაი ბჰამჯი, ამადეო დიაკიტე, ანხელ მარია ლიონა და იოზეფ მიფსუდი. სულ ფიფას აღმასრულებელი კომიტეტი 25 წევრისაგან შედგება და ბლატერის ეს ახალი გუნდი 21-ე საუკუნემდე, ანუ 1998-2000 წლებში იმუშავებს ფიფაში. აი, აღმასრულებელი კომიტეტის სრული შემადგენლობა.




**პრეზიდენტი** — იოზეფ ბლატერი

**ვიცე პრეზიდენტები:**
ხულიო გრანდონა (უფროსი ვიცე-პრეზიდენტი, არგენტინა), დევიდ ვილი (შოტლანდია), ლენარტ იუჰანსონი (შვედეთი), ისა ჰაიატუ (კამერუნი), ანტონიო მატარეზე (იტალია), ჩუნგ მონგ-ჯუნი (ჩრდ. კორეა), ჯერ უორნერი (ტრინიდადი და ტობაგო).

**წევრები:**
აბდულა დაბალი (საუდის არაბეთი), სლიმ ალოულუ (ტუნისი), მიშელ დი ჰოგი (ბელგია), ისააკ სასო (კოსტარიკა), რიკარდო ტეიშეირა (ბრაზილია), პერ რავნ ომდალი (ნორვეგია), მუჰამედ ალ-აბდულა (კატარი), სენეს ერზიკი (თურქეთი), ჩარლზ დემპსეი (ახალი ზელანდია), ჩაკ ბლაზერი (აშშ), ვორავი მაკუდი (ტაილანდი), ნიკოლას ლეოსი (პარაგვაი), ისმაილ ბჰამჯი (ბოსტვანა), ამადეო დიაკიტე (მალი), ანხელ მარია ლიონა (ესპანეთი), იოზეფ მიფსუდი (მალტა).

**მოქმედი გენერალური მდივანი** — მიხაელ ბენ რუფინენი (შვეიცარია)

## „დინამო" – „მრეტების" დავას ფიფა განიხილავს

*როგორც ვიტყობინებოდით, ფეხბურთელ გიორგი ქინქლაძის ტრანსფერთან დაკავშირებით, ფიფა-უეფაში გამოძახებული იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე. შევიტყვეთ, საქმის განხილვა მეტად მძაფრ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. საბოლოოდ, მიიჩნიეს, რომ ქინქლაძის ტრანსფერი („დინამო" — „მანჩესტერ სიტი" — „აიაქსი") საერთაშორისოა, ამიტომ მისი ნიუანსების განხილვა სცილდება სფფ-ს კომპეტენციას. საკითხს სექტემბრის შუა რიცხვებში ფიფა განიხილავს.*

UEFA EURO 2000 The Low Countries

# გუცაევმა ლაშქარს უხმო

## მაინც ვისია იაშვილი?



5 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში ალბანელებს უმასპინძლებს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა თავის ლაშქარს 31 აგვისტოს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გამოუძახა – სწორედ იქ დაბინავდებიან ჩვენი ქვეყნის რჩეული ფეხბურთელები. ისინი მატჩამდე დღეში ორჯერ ივარჯიშებენ: დილით დილმის საწვრთნელ ბაზაზე, საღამოს კი მცხეთის სტადიონზე.

ალბანელებთან საპაექროდ მწვრთნელმა შემდეგ მოთამაშეებს უხმო: *მეკარეები* – ნიკა ტოგონიძე („დინამო", ბთ), დავით გვარამაძე („დინამო", თბ.), აკაკი დევაძე („ირონი", ისრაელი); *მცველები* – გივი დიდავა, ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი – ყველა „დინამო „თბილისი"), ლევან სილაგაძე („სკონტო"), კახა კალაძე („დინამო", უკრაინა), მამუკა წერეთელი („ალანია"), გელა შეყილაძე („ლიერსი", ბელგია), ნუგზარ ლობჟანიძე („შკოდა", ჩეხეთი); *ნახევარმცველები:* გიორგი ნემსაძე („გრასჰოპერსი"), გოჩა ჯამარაული („ტრაბზონსპორი"), გოგა გახოკიძე („ეინდჰოვენი"), გიორგი ქინქლაძე („აიაქსი"), თემურ ქეცბაია („ნიუკასლი"), გიორგი კიკნაძე („დინამო", თბ); *თავდამსხმელები* – შოთა არველაძე („აიაქსი"), არჩილ არველაძე („ბრედა"), ზაზა ჯანაშია („ლოკომოტივი", რუსეთი), გიორგი დემეტრაძე („ალანია"), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი").

ალსანიშნავია, რომ იაშვილი გამოძახებულია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაშიც – ეროვნული ნაკრებების შეხვედრის წინა დღეს ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში ჩვენები ალბანელ თანატოლებს გაეჯიბრებიან. ქართველთა იტალიელმა მწვრთნელმა რობერტო ლანდიმ ამ მატჩისათვის შემდეგ ფეხბურთელებს უხმო: *მეკარეები* – რამაზ სოლოლაშვილი („დინამო", თბ), გიორგი გაბელია (თსუ); *მცველები* – არჩილ სახვაძე (დინამო, თბ.), გიორგი დავითნიძე („მერანი-91"), გიორგი ჭანკოტაძე, ზურაბ მენთეშაშვილი (ორივე „ვიტ-ჯორჯია"), გიორგი რევაზიშვილი („კრილია სოვეტოვი"), ირაკლი გემეზაშვილი (უგუნდო); *ნახევარმცველები* – ვიტალი დარასელია (ცსკა, უკრაინა), კახა ჩხეტიანი, გიორგი ყიფიანი (ორივე „ტორპედო".) გივი კვარაცხელია, რატი ალექსიძე, დავით მუჯირი (ყველა „დინამო", თბ.); *თავდამსხმელები* – მიხეილ აშვეთია, გიორგი შენგელია, ლევან მელქაძე (ყველა „დინამო", თბ.), გიორგი მეგრელაძე („ტორპედო"), ლაშა ჯაკობია („სტანდარდი"), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი").

**P.S. გუ[illegible]შუადღევს, საქართველოს ნა[illegible] [illegible]ანისის სამთავრობო აგარაკზე შეუდგა ალბანელებთან მატჩისათვის მზადებას. საბოლოოდ გაირკვა, რომ ტრავმის გამო ეროვნულ გუნდში ვერ ითამაშებენ მცველი გელა შეყილაძე („ლიერსი"), ნახევარმცველი გიორგი გახოკიძე (პსვ „ეინდჰოვენი"), ფორვარდი შოთა არველაძე („აიაქსი"). როგორც ხედავთ, ჩვენი გუნდი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა – გარდა ამ სამეულისა, უფრო ადრე ტრავმის გამო ნაკრებს დიდი ხნით გამოაკლდნენ მცველები კახა ცხადაძე და მურთაზ შელია (ორივე „მანჩესტერ სიტი"), დისკვალიფიცირებული არიან წინა ხაზის მოთამაშეები მიხეილ ყაველაშვილი („გრასჰოპერსი") და მიხეილ ფოცხვერია („შახტიორი"). არადა, როგორი მნიშვნელობა აქვს ევრო-2000-ზე კარგ დაწყებას, ყველამ უწყის. პირველმა გამარჯვებამ სამ ქულასთან ერთად სასურველი ფონი უნდა შეუქმნას ამ შეჯიბრებაში ჩვენი გუნდის გამოსვლას.**

*ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვლადიმერ გუცაევის თხოვნით ვაცნობებთ სპორტულ ჟურნალისტებს, რომ იგი 2 სექტემბერს 20 საათზე სფფ-ში მართავს პრესკონფერენციას.*

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ჯგუფი IV ტური

**ლოკომოტივი (თბილისი) – ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 1-0**

*ლოკომოტივი:* ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი (ბაქრაძე, 86), ბარნოვი, თარხნიშვილი, კაციაშვილი (მინდიაშვილი, 65), მარლიშვილი, მელქაძე, დაუშვილი, გოდერძიშვილი, ქორიძე (კვიტატიანი, 46).
*ვიტ-ჯორჯია:* ჭურაძე, მენთეშაშვილი, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი (ღამბაშიძე, 65), ბოკერია (პეტრიაშვილი, 69), აბაზაძე (დოლიძე, 79), კაპანაძე, მაისურაძე, ლ. ნოზაძე, გოჩაშვილი, გ. გვაზავა.
*გოლი:* მარლიშვილი (66, პენ.)
*გააფრთხილეს:* კაციაშვილი, მენთეშაშვილი, გოჩაშვილი.
*გააძევეს:* მენთეშაშვილი (66).
*მსაჯი:* მერაბ მალალურაძე (თბილისი).

ეს იყო ლოგიკური შედეგით დამთავრებული მატჩი – რკინიგზელების უპირატესობა აშკარა იყო, ისინი უფრო მიზანმიმართულად, მობილურად, სხარტად მოქმედებდნენ, მეტი ჟინი და ენერგია ჩააქსოვეს თამაშში და, საყოველთაო აღიარებით, უთუოდ იმსახურებდნენ გამარჯვებას. არადა, წარმატება ადვილად არ მოსულა. მატჩის პირველ ნახევარში სტუდენტებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მინდვრის მასპინძლებს (მცხეთაში მასპინძელი ამჯერად „ლოკომოტივი" იყო). მათ რამდენიმეჯერ კარის აღებაც შეეძლოთ, მაგრამ გოჩაშვილი და გვაზავა ამაოდ დაშვრნენ: წინა მატჩებთან შედარებით სტუდენტები ამჯერად ნაკლებად ეხმარებოდნენ თავიანთ ფორვარდებს, განსაკუთრებით ინერტულად ირჯებოდნენ ნახევარმცველები, რის გამოც მოედნის შუაგულში რკინიგზელები საგრძნობ უპირატესობას ინარჩუნებდნენ.

თუ მატჩის პირველ ნახევარში სტუმრები ასე თუ ისე უმკლავდებოდნენ ლოკომოტიველებს, მეორე ტაიმში მოედანზე უთანასწორო ბრძოლა ვიხილეთ. საქმე მხოლოდ იმაში არ არის, რომ ლამის ნახევარი საათი სტუდენტები კაცხაკლული თამაშობდნენ (მეორე გაფრთხილების შემდეგ მინდვრიდან გააძევეს მენთეშაშვილი) – თემურ მახარაძემ შესვენებისას თავისი ბიჭები ტაქტიკურად სწორად დამოძღვრა, ეფექტური შეცვლებით კი საგრძნობლად გაზარდა გუნდის შემტევი პოტენციალი, რამაც საბოლოოდ ასახვა ჰპოვა ანგარიშში.

და ბოლოს, გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ სასიამოვნო გარემოებას: „ლელო" იტყობინებოდა რა მცხეთის სტადიონის დირექციის სამაგალითო გარჯას, სინანულით აღნიშნავდა რადიოკვანძის უმოქმედობას. ამჯერად ამ საკითხსაც მოევლო.

ჯემალ ჭიკაშვილი,
მცხეთა

**არსენალი (თბ) – იბერია (სამტრ) 2-5**
**გურია (ლანჩხ) – ოდიში (ზუგდ) 1-2**
**სამგურალი (წყალტ) – უნივერსიტ. (თბ) 0-1**
**დილა (გორი) – კოლხეთი-1913 (ფთ) 2-1**
**მერანი-91 (თბ) – გორდა (რუსთ) 1-1**
**ტორპედო (ქუთ) – დინამო (ბთ) 3-3**
**დინამო (თბ) – სიონი (ბოლნ) 8-1**

იხ. მე-3 გვ.

## გათამაშების ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა (გორი) | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| დინამო (თბ) | 3 | 0 | 0 | 0 | 18-3 | 9 |
| იბერია (სამტ) | 4 | 3 | 0 | 1 | 10-7 | 9 |
| ლოკომოტ. (თბ) | 4 | 2 | 2 | 0 | 5-1 | 8 |
| ტორპედო (ქთ) | 3 | 2 | 1 | 0 | 11-5 | 7 |
| ვიტ-ჯორჯია (თბ) | 4 | 2 | 1 | 1 | 5-2 | 7 |
| კოლხეთი (ფთ) | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| გურია (ლანჩხ) | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| სამგურალი (წყალ) | 4 | 1 | 1 | 2 | 1-5 | 4 |
| სიონი (ბოლნ) | 4 | 1 | 1 | 2 | 7-12 | 4 |
| ოდიში (ზუგდ) | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| თსუ | 4 | 1 | 0 | 3 | 2-6 | 3 |
| მერანი-91 (თბ) | 4 | 0 | 3 | 1 | 2-6 | 3 |
| გორდა (რუსთ) | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| დინამო (ბთ) | 4 | 0 | 2 | 2 | 5-8 | 2 |
| არსენალი (თბ) | 4 | 0 | 2 | 2 | 3-10 | 2 |

VIII თვის მონაგარი

# შტორმის შემდეგ შტილი

ივლისის წარმატებების შემდეგ აგვისტოს პირველმა დღეებმა თითქოს წინა თვისგან იმპულსი მიიღო — მოსკოვში მსოფლიო ახალგაზრდულ თამაშებში წარმატების შემდეგ, ჩვენმა ფალავნებმა თანატოლებთან მსოფლიო ჩემპიონატში სცადეს ბედი და სამი მათგანი ვანო ჩუბინიძე, გიორგი რურუა და ილია ლექავა შინ ჩემპიონის ოქროს მედლებით დაბრუნდნენ. მერე იგივე რანგის ასპარეზობაში თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ჩაებნენ და იქ ალექსანდრე მოდებაძეს და დავით ლექავას მეორე საპრიზო ადგილები ხვდათ წილად. ასეთი თანმიმდევრობით, როგორც ჩანს ბრინჯაოს მედლების ჯერი დადგა და ეს ჯილდო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თავიანთ ასაკში მსოფლიო პირველობაში მოიპოვეს გელა ჩხაიძემ და ბადრი ხასაიამ, მათი უფროსი კოლეგები კი ამ დღეებში შვეციაში ასპარეზობდნენ, რომელთაგან სამწუხაროდ ვერც ერთი მედალი ვერ მიითვალა სპორტულმა აგვისტომ.

როგორც ჩანს, ჩვენში აკრობატიკაც იბრუნებს ტრადიციებს. ყოველ შემთხვევაში, ავტორიტეტულ საერთაშორისო ტურნირში თბილისელ ვეფხია ხუბაევის მიერ მოპოვებული პირველი ადგილი, ამის კარგ იმედს იძლევა. კეტბურთელთა წარმატების შესახებაც უნდა ითქვას, მართალია, მათ ამჯერად ევროპის ჩემპიონატის A ჯგუფში ასპარეზობის უფლება ვერ მოიპოვეს, მაგრამ B ჯგუფში რომ 16 ქვეყნის წარმომადგენლებთან პაექრობაში III საპრიზო ადგილი ხვდათ წილად, ესეც მიღწევაა.

განსაკუთრებულ ყურადღებას აგვისტოში მაინც ფეხბურთელთა გამოსვლები იქცევდა და სამწუხაროა, რომ ვერც ერთმა ჩვენმა რჩეულმა კლუბმა ვერ გადალახა პირველი ეტაპი. არც ჩვენ მესტენდურებს, მძლეოსნებს, მშვილდოსნებს და თანამედროვე ხუთჭიდელ დავით ჯულუხაძეს გაუმართლათ.

უსახსრობის გამო მინიმუმამდე შემცირდა ეროვნული ჩემპიონატების გამართვა სპორტის ცალკეულ სახეობებში. ფოთში ცხენოსანთა შეჯიბრება კი მაინც ჩატარდა და ამაში თვით შეჯიბრების მასპინძლებს მიუძღვით დიდი წვლილი. ბახმაროში კი მარულის მოწყობის ტრადიცია აღადგინეს. ბათუმმა აჭარის ღია პირველობას უმასპინძლა მშვილდოსნობაში, სადაც თბილისელებსაც მიეცათ ასპარეზობის შესაძლებლობა. მოეწყო მასობრივი ალპინისტური ლაშქრობები სვანეთსა და ყაზბეგში. მყინვარწვერზე კი მონასტერიც დაიდგა. სასიამოვნოა ისიც, რომ ჩვენი ვეტერანი მძლეოსნები ნადეჟდა დვალიშვილი და მაია აზარაშვილი დამსახურებისთვის იააფ-მა მედლით დააჯილდოვა, საქართველოში გრძელდებოდა პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს" საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების დაფუძნება, დაფუძნდა და რეგისტრაციაში გატარდა სუმოს ფედერაცია.

ივლისში უსიამოვნებანიც საკმაოდ იყო. კვლავ გრძელდება „დინამო" — „მრეტების" ფინანსური დავა, თურქეთში ფეხბურთის თამაშისას მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა იქ სტუმრად მყოფ ჩვენ ჭაბუკებს ბრალდებათ და ალბათ საქმე სასამართლომდე მივა, თბილისში კი სანაპიროზე ტანვარჯიშის დარბაზის მიმდებარე მონაკვეთი გაიყიდა. აგვისტოს მეორე ნახევარში იქ გამალებით შენდებოდა ავტოსამრეცხაო (სამწუხაროდ, სპორტისთვის ასე თავგამოდებით არავინ ირჯება).

ისე, ამ თვეში, ჩვენში აღზრდილმა და შემდეგ გაუცხოებულმა ქართველებმა არა ერთ ქვეყანას მოუტანეს მედლები.

## თვის საუკეთესო სპონსორი «ომეგა»

„ლელოს" რედაქციამ შეაჯამა აგვისტოში სპონსორთა მიერ სპორტის სასიკეთოდ გაწეული საქმიანობის შედეგები და ამ თვის საუკეთესო სპონსორად სცნო ფირმა „ომეგა", რომლის მსგავსი დახმარება ჩვენი ეროვნული სპორტისათვის არა თუ აგვისტოში, ამ წლის ბოლო თვეებში არავის გაუწევია.

## ფალავნები ძალოვანების წინააღმდეგ

# ღია წერილი ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

მიუხედავად გარკვეული დადებითი ძვრებისა, დღევანდელი ჩვენი ყოფა რომ ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებელია, ამის ფაქტებით დადასტურება არავის სჭირდება. გასაჭირიდან გამოსვლა, როგორც ვხედავთ, არც ისე ადვილი გამოდგა. მიზეზი უამრავია. დღეს მხოლოდ ერთ მათგანს შევეხებით. ეს არის ის ხელოვნური ბარიერები, რომლებიც საქართველოში წარმოებულ ბიზნესს ექმნება და რომელთა გამო მისი გაფართოებისა და განვითარების ნაცვლად საწინააღმდეგო პროცესის მოწმენი ვხდებით.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ არაერთხელ კატეგორიულად მოითხოვეთ ბიზნესმენებისა და საქმიანი ადამიანებისათვის ყოველმხრივი მხარდაჭერა. ეს მოთხოვნა, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ამ ადამიანებისათვის და ქვეყნისათვის, მაგრამ ზოგიერთი სამართალდამცავის მხრიდან ასეთი პოზიციისადმი და მოქმედი კანონმდებლობისადმი აგდებული დამოკიდებულების გამო, იგი მიწასთან გასწორებული რჩება. ჩვენი კონკრეტული შემთხვევა ამის ნათელი მაგალითია.

1997 წლის ზაფხულიდან ქართველი მოჭიდავეების ნაწილი დავუკავშირდით ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ კოლეგებს, რომელთაც მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს გავლით აწარმოონ ტვირთების, ძირითადად სპირტის გადაზიდვა ვლადიკავკაზის ერთ-ერთი ორგანიზაციის მისამართით.

არავისგან არავითარი კრედიტი არ აგვიღია. 1997 წლიდან დღემდე კი აღნიშნული გადაწყვეტილების განხორციელების შედეგად, საქართველოს ბიუჯეტში შესულმა თანხამ მილიონ ნახევარ ლარს გადააჭარბა. ჩვენ ვამაყობთ ამით, ვამაყობთ იმითაც, რომ ჩვენი მხრიდან ფოთის პორტის, ტრანსპორტის, საბაჟოს და იქ მომუშავე პერსონალის დატვირთვა თავისთავად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას უწყობს ხელს. გარდა ამისა, ჩვენი კოლეგა-ინვესტორების ძალისხმევით, ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვს საქართველოში სპორტის, სპორტსმენების, მწვრთნელების და ვეტერანი სპორტსმენების მატერიალური დახმარების საქმეს.

თითქოს ყველა ჩვენგანი უნდა მიესალმოს ამისთანა საქმიანობას, მაგრამ ასე არ ყოფილა. სატრანსპორტო პოლიციამ შეამჩნია, რომ მნიშვნელოვან ტვირთბრუნვას ვაწარმოებთ ზეგავლენიანი ე.წ. მფარველის გარეშე. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მიზანში ამოვეღეთ და ჩვენს წინააღმდეგ, რომელთაც არავითარი შეხება არა გვაქვს სახელმწიფო ქონებასთან, სასწრაფოდ შეეთითხნათ სისხლის სამართლის საქმე... სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით მითვისების ფაქტზე.

საქმე წარმოებაში გადასცეს სატრანსპორტო-საგამოძიებო სამმართველოს (უფროსი რევაზ გოგელია). ჩვენ მათ არაერთი სიტყვიერი და წერილობითი ახსნა-განმარტება მივეცით, წარმოვუდგინეთ სისხლის სამართლის საქმის უსაფუძვლოდ აღძვრის დამადასტურებელი დოკუმენტები, შევახსენეთ ჩვენი წვლილი ქვეყნის ბიუჯეტში, თქვენი არაერთი შეგონება, მაგრამ, როგორც ვხვდებით, ვერავითარ შედეგს ვერ მივაღწიეთ. სამართალდამცავები, დარწმუნებულები თავიანთ დაუსჯელობაში, ჯიუტად განაგრძობენ უკანონო ქმედებებს: ორთვენახევარია უკანონოდ აღძრული საქმის საფუძველზე ამოიღეს ჩვენი საბუთების ყველა ორიგინალი თბილისის, გორის და ფოთის საბაჟოებიდან, სასამართლოს დადგენილების გარეშე დაგვიყადაღეს ტვირთი, დაგვილუქეს საწყობი და შეგვიჩერეს ტვირთბრუნვა. შედეგად უდიდესი მატერიალური ზარალი მიაყენეს ჩვენს მხარეს და სახელმწიფოს (არანაკლებ ნახევარი მილიონი ლარისა). ამასთან, ქართული მხარის, ავტორიტეტის შელახვასთან ერთად, მათ წარმატებით გაართვეს თავი რუსი მესაზღვრეებისათვის დავალებულ რუსეთისათვის ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანას, როგორიცაა საქართველოდან ამ ქვეყნის მიმართულებით მიმავალი ტრანზიტული ტვირთების შეჩერება და საქართველოს, როგორც აბრეშუმის გზისა და ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ავტორიტეტის შელახვა.

მათი ასეთი ქმედების ჭეშმარიტი მიზნები, ვფიქრობთ, თქვენთვის ნათელია.

მოგმართავთ თხოვნით, აღადგინოთ სამართლიანობა, რათა საქართველოს მოქალაქეებმა შევძლოთ ჩვენი პირადი, ჩვენი ინვესტორ-კოლეგების კანონიერი უფლებებისა და სახელმწიფო ინტერესების დაცვა.

პატივისცემით

**გიორგი მაკასარაშვილი** – ჩრდილოკავკასიელი კოლეგების წარმომადგენელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ამჟამად საქართველოს მოჭიდავეთა ფონდის „ფალავანის" პრეზიდენტი; **ზურამ სადარაძე** – სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, პოლიტიკური ორგანიზაცია „სპორტული საქართველოს" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი; **დავით ციმაკურიძე** – პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი; **ვახტანგ ბალავაძე** – მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი; **გიორგი სხირტლაძე** – მსოფლიოს ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი; **ვლადიმერ კანკავა** – საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსი, საზოგადოება „რაინდის" პრეზიდენტი; **რომან რურუა** – მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, პოლიტიკური ორგანიზაცია „სპორტული საქართველოს" პრეზიდენტი; **ზურაბ ახმეტელი** – პოლიტიკური ორგანიზაცია „სპორტული საქართველოს" გენერალური მდივანი, პარლამენტის ფრაქცია „იმედის" თავმჯდომარე; **ნოდარ მოდებაძე** – საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მსოფლიოს თასის მფლობელი; **ომზარ შოშიტაშვილი** – საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი; **სპარტაკ ძარსაულიძე** – საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; **ჯუმბერ დავლიანიძე** – საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი; **ომარ ბლიაძე** – საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; **იოსებ ლაპიაშვილი** – საქართველოს მოჭიდავეთა ფონდ „ფალავანის" პრეზიდენტი.

**რედაქციისაგან:** პრეზიდენტისადმი ამ კოლექტიურ წერილს თან ახლავს ფართო ახსნა-განმარტება, სადაც ყველა სადავო საკითხზე გაცემულია ამომწურავი პასუხი. აი, ერთი მათგანი და მთავარი, თურმე სიტყვა „განბაჟება" ძიებას „იმპორტად" ჩაუთვლია და ეს გამხდარა სისხლის სამართლის აღძვრის საფუძველი. საბაჟო დეპარტამენტი კი იძლევა ცნობას, რომ „განბაჟება" არ ნიშნავს „იმპორტს" და იგი საერთოდ არ მოიხსენიება საბაჟო ტერმინოლოგიაში და ა.შ. არ გვინდა რაიმე დასკვნები გავაკეთოთ, მაგრამ თუ მართლა არაფერშია დამნაშავე ტვირთების გადამზიდი ორგანიზაცია და სახელმწიფოსთვის არაფერი დაუმალია და მილიონნახევარი ლარი მოგებაც მისცა, რაღა აზრი აქვს გაუთავებელ შემოწმებებს. კანონმა, ცხადია, უნდა იკანონოს და იმედს ვიტოვებთ, ასეც მოხდება. თუ ვინმე დამნაშავეა, ჩვენც ვერ მოვუწონებთ, მაგრამ თუ არ არის? იმედს ვიტოვებთ, „ძალოვანები" საჯაროდ დაამტკიცებენ, რომ იქ, სადაც სიმართლეა, ძალა სულაც არ ხნავს აღმართს.

**გიწვევთ კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი**

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი გიწვევეთ, როგორც კვალიფიკაციის ამაღლების, ისე სპორტის სფეროში ახალი სპეციალობის მისაღებად ფასიან სწავლებაზე.

სერტიფიკატი საერთაშორისოა.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 49. ტელ. 29-23-06, ან 29-39-62.

## შევარდენი – 80

# როგორ იშვა ჟურნალი „შევარდენი"




ერის ცხოვრებაში ბევრი მოვლენა წარუშლელ კვალს ტოვებს და იგი სამარადჟამოდ იმკვიდრებს ადგილს ისტორიაში. სწორედ ასეთი მოვლენა იყო საქართველოს შევარდენთა კავშირის ჟურნალის გამოცემა თბილისში 1922 წელს. ამ ჟურნალს ჭეშმარიტი ეროვნული სულისკვეთებით გამოცემა არ ეწერა, რადგან იგი ჯერ კიდევ 1921 წელს უნდა ეხილა მკითხველს და ვერ იხილა დემოკრატიული საქართველოს დამხობის გამო. შევარდნელები, თუმცა ერთხანს წითლები ეჭვის თვალით უყურებდნენ, მაინც ერის სამსახურის ერთგულნი დარჩნენ და მოღვაწეობა გააგრძელეს.

ჟურნალ „შევარდენის" გამოცემა სათუო გახდა, შემდეგ კი მაინც მოხერხდა, მაგრამ უკვე წინა პლანზე წამოიწია არა ზოგადეროვნულმა, არამედ მშრომელთა ინტერესების სულისკვეთებამ.

ჟურნალის შესავალ წერილში ვკითხულობთ: „შევარდნობამ საქართველოში მტკიცე ნიადაგი მოიპოვა და სამი წლის განმავლობაში (სამი წლისო — ესეც ადასტურებს, რომ ჟურნალი დემოკრატიულ საქართველოში გამოსაცემად იყო მომზადებული. — რედ.) შედეგად თავისი მუშაობისა მოგვცა მძლავრი რაზმი გაკაჟებულ და გამობრძმედილ ახალგაზრდობისა...

შევარდენთ გუნდები სწრაფად მოეფინენ ლამაზ საქართველოს და ლამაზი ლოზუნგებით შეიჭრნენ ქართველ მშრომელ ხალხის ცხოვრებაში".

1922 წლის მაისში გამოვიდა 116-გვერდიანი ჟურნალი დიდი ფორმატით და 1500 ტირაჟით. პასუხისმგებელი რედაქტორი — სოსო ასლანიშვილი, სარედაქციო კოლეგია: გიორგი ეგნატაშვილი, თამარ ნიკოლაძის ასული, მიქელ პატარიძე, ივანე მაჭავარიანი. გარეკანის პირველი გვერდი დახატულია ვალერიან სიდამონ-ერისთავის მიერ. ჟურნალის მეტი ნომერი აღარ გამოცემულა, მაგრამ ამ ერთადერთმა ნომერმაც დიდი სამსახური გაუწია ქართული სპორტის ისტორიის მკვლევარებსა და სხვადასხვა თაობების სპორტის სპეციალისტებს. ჟურნალ „შევარდენის" ეს ერთადერთი ნომერი „ლელოს" რედაქციაშიც ინახება.

## „ლელოს" პუბლიკაციების კვალდაკვალ

# ცალი ყურით მოთრეული ბრალდების პასუხად

გაზეთ „ლელოს" წლევანდელი 25-27 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ბავშვთა რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დისპანსერის ყოფილი თანამშრომლის თ. ქუთათელაძის პასკვილი „ბრალს ვდებ თბილისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის მთავარ სამმართველოს".

ჩვენთვის, დისპანსერის სამედიცინო კოლექტივისათვის, ამ პიროვნების ლვარძლიანი და აბსოლუტურად დაუსაბუთებელი ბრალდებები უცხო არ არის. სამწუხაროდ, ეს ხანდაზმული, ასაკოვანი პიროვნება თავის გართობის ერთადერთ საშუალებად სწორედ ამგვარი „მამხილებელი" მასალების თხზვას მიიჩნევს და „ენერგიულად, თავდაუზოგავად იღვწის" პასკვილების შესაქმნელად.

თ. ქუთათელაძემ წლეულს ივლისის თვეში, იმავე გაზეთ „ლელოში" გამოაქვეყნა ანალოგიური ხასიათის „თხზულება", რომელშიც დისპანსერის ხელმძღვანელობას „უმთავრეს" ბრალდებად ხაჭაპურების ცხობას უყენებდა. თუმცა „ლელოს" რედაქციამ ოპერატიულად შეისწავლა წერილში გამოქვეყნებული ფაქტების სისწორე და ყველა ბრალდება უსაფუძვლოდ მიაჩნია.

როგორც ჩანს, „სიმართლისათვის მებრძოლი" ქუთათელაძე ვერ შეურიგდა დამარცხებას და ახალი იერიშით მიიტანა დისპანსერის ხელმძღვანელობაზე და უკვე არამარტო დისპანსერის ხელმძღვანელობაზე...

„არ ახალ" ოპუსში წარმოდგენილი ბრალდებები იმდენად უსუსური და ყურით მოთრეული გვეჩვენება, რომ მათზე ალბათ არც ღირდა მკითხველის ყურადღების გამახვილება, მაგრამ ქუთათელაძის უზნეობა იმდენად გადასცდა ყოველგვარ ზღვარს, რომ ვალდებულად ვთვლით თავს წვრილად ვუპასუხოთ ამ ყავლაგასულ მედიკოსს.

იგი ხომ ელემენტარულ ქურდბაცაცობაში ადანაშაულებს დისპანსერის თანამშრომლებს. ამის მოთმენა კი შეუძლებელია. ნებისმიერი რანგის კომისიას ვიწვევთ დისპანსერში სარევიზიოდ და თანახმა ვართ თითოეულ ნივთზე საკუთარი თავით ვაგოთ პასუხი.

ჩვენთვის განსაკუთრებით მტკივნეულია იმის აღნიშვნა, თუ რა უდიერად იხსენებს ქუთათელაძე სულ რაღაც ოთხი თვის წინ გარდაცვლილ დისპანსერის მთავარ ექიმს, ბატონ გია მაჩაბელს, რომლის დიდი პროფესიონალიზმი, კეთილშობილება და მოქალაქეობრივი თავდადება დღესაც ახსოვთ ჩვენს თანამშრომლებს. ბატონო ქუთათელაძევ, როგორ არ გრცხვენიათ, რომ თქვენ, მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, ასაკოვანმა პიროვნებამ, მარიამობის დიდი დღესასწაულის წინ, ასე უდიერად მოიხსენიეთ ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც მთელი ქალაქის სამედიცინო საზოგადოებამ დაიტირა.

ან როგორ კადრულობთ და წერთ სამეცნიერო ნაშრომები მომპარესო. ვის გაუგია თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობა, ვის უბრმავებთ თვალებს?

თუმცა, სიცრუე და ორპირობა თქვენი თანდაყოლილი თვისებაა და ეს იმაშიც ვლინდება თუ როგორ აცნობთ თავს „ლელოს" მკითხველებს — ბავშვთა სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის მთავარი სპეციალისტი ვარო. არადა, კარგა ხანია, გამოეთხოვეთ ამ თანამდებობას.

რა ვქნათ ახლა, ვიცინოთ თუ ვიტიროთ, ბატონო ქუთათელაძევ! ვიცით, ძნელია თქვენი გარდაქმნა, მაგრამ ღმერთის ხომ უნდა გეშინოდეთ?

დარწმუნებული ვართ თ. ქუთათელაძე კვლავ შეეცდება ანალოგიური სტატიების გამოქვეყნებას, მაგრამ ჩვენ პასუხის ღირსად არ მივიჩნევთ.

**ბავშვთა რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დისპანსერის თანამშრომლები**

**„ლელოს" რედაქციისაგან:** ჩვენი გაზეთი ამ თემაზე წყვეტს მხარეთა კამათს იმ იმედით, რომ სიმართლე არ დაიკარგება.

## ხალხური თამაშები — ერის საუნჯე!

# „მენჩურუა" ტრადიციად იქცა

ხალხური თამაშების ისტორიაში „მენჩურუა" არ იყო შესწავლილი. არადა ეს სახეობა ძალიან პოპულარული იყო სამეგრელოში. დღესაც სიცხით გათანგული ახალგაზრდები მდინარეში ასეთი პაექრობით ერთობიან („მენჩურუა" არის წყალში ორთაბრძოლა. გამარჯვებულია ის, ვინც მოწინააღმდეგეს ჩაძირავს.

ეს თამაში შეისწავლა და აღწერა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუმში მცხოვრებმა, სპორტის ვეტერანმა მუშაკმა ჯანიკო ბასილაძემ, რომელიც შარშან გაზეთ „ლელოსა" და „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა, შემდეგ კი მუხურში ამ სახეობაში შეჯიბრებაც ჩატარდა.

წლეულს „მენჩურუამ" უფრო ფართო მასშტაბი და სარაიონთაშორისო ხასიათი მიიღო. ჩხოროწყუელებთან ერთად ასპარეზობდნენ წალენჯიხელი, ზუგდიდელი, თბილისელი სპორტსმენები. ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია და ათასობით მაყურებელი მიიზიდა.



გამოვლენილია წონით კატეგორიებში გამარჯვებულნი: 60-80 კილოგრამ წონით კატეგორიაში თბილისელი არჯევან კიკალეიშვილი იყო უძლიერესი, რომელმაც მძაფრ ბრძოლაში სძლია წალენჯიხელ თემურ ძიძარიას. 80-100 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი შარშანდელმა ჩემპიონმა ხვიჩა ჩიქოვანმა მოიპოვა, იგი წელსაც აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

„მენჩურუას" ტრადიცია, ჩვენდა სასიხარულოდ, აღდგა და მ[illegible] სპორტის მესვეურთა მხრ[illegible] მხარდაჭერა სჭირდება, რა[illegible] წყალში ორთაბრძოლის ასეთი სახეობა, საერთოდ, იშვიათია.

ასპარეზობას ესწრებოდნენ ჩხოროწყუს, ხობის, წალენჯიხის გამგებლები ზურაბ ხუნტუა, ანგულ მიქავა, დათო ქანთარია. ამ რაიონების სპორტის ხელმძღვანელი მუშაკები.

ნუგზარ ქვანია,
„ლელოს"
საკუთარი კორ.




**იმუშავეთ ეფექტურად და ჩვენთან ერთად**

ჩვენი დანადგარები დამონტაჟებულია ავტოგასამართ სადგურებზე: „საველიჩი", „სიერა'ოილი", „მარს'ოილი", „გიოჩი", „დემეტრა"

**თბილისის საწყობიდან:**
ვულკანიზაციისა და ბალანსირების დანადგარები, კომპრესორები, 2,5 ტ. მანქანის ამწე, მაღალი წნევის ავტოსამრეცხაოები ორთქლით, ავტოაქსესუარები.

**უფასოდ:**
* შეფ-მონტაჟი
* სპეციალისტების სწავლება
* საგარანტიო მომსახურება

FAX. TEL: 23 00 96   2928 64   TEL. FAX.

ავტოსერვისის დანადგარების ექსკლუზიური იმპორტიორი. თბილისი, ჭავჭავაძის 49ა.

პრესკონფერენცია

# მურთაზ ხურცილავა: მთავარია, ბიჭებს ფეხბურთის თამაში შეუძლიათ



ჩემპიონთა ლიგა აუხდენელ ოცნებად დაგვრჩა, ღარიბებსა და მუხლდაჩოქილებს მწვანე შუქი არ აგვინთეს. სამაგიეროდ, ჩვენმა ბიჭებმა საკუთარი ძალა იგრძნეს, ყველას დაანახეს, რომ თბილისის „დინამო" კვლავ თბილისის „დინამოა", სადაც მამაკაცები და ნაღდი ფეხბურთელები თამაშობენ. დიღმის ბაზაზე მისულთ კი მურთაზ ხურცილავა უჩვეულოდ დამწუხრებული, სენტიმენტალური გვეჩვენა, რისი მიზეზიც დინამოელთა თავკაცს ნაღდად აქვს.

— ისეთ არაობიექტურ მსაჯობას, როგორიც ბილბაოში იყო, ნამდვილად არ ველოდი. სად არ მითამაშია, მაგრამ მსგავსი არსად მინახავს. ალბანეთში, „ვლაჟნიასთან" ხომ მსაჯობა საერთოდ საშინელება იყო. წესად მაქვს, რომ წაგება მატჩის არბიტრს არ გადავაბრალო, მაგრამ, რადგან ბიჭებმა ასე კარგად ითამაშეს და ჩემპიონთა ლიგაზე გასვლა მართლაც რომ შეგვეძლო...

— ალბათ, რაღაცაშია საქმე, შეიძლება მართლა არ უნდოდათ ჩვენნაირი ღარიბი ქვეყნის გუნდის ჩემპიონთა ლიგაში გასვლა — იძულებული ვარ ასეთ მითქმა-მოთქმასა თუ ჭორებს რეალურად თვალი გავუსწორო.

— ოსტატობაში პროგრესი ყველა დინამოელს ემჩნევა, რაც შეეხება ხომერიკს, მანაც, რა თქმა უნდა, მოუმატა, მაგრამ ხომერიკმა საკუთარი თამაშის სტილი უნდა შეცვალოს, ეს მისთვის უკეთესი იქნება.

— რაც შეეხება ჩვენს მეტოქეს უეფას თასზე ჰოლანდიის „ვილემს", ამ გუნდის შესახებ შოთა არველაძეს ველაპარაკე და რაღაც გარკვეული ინფორმაციაც მივიღე მისგან. „ატლეტიკთან" მატჩების შემდეგ უარესად თამაში არაფრით არ შეიძლება, ხომ ყველანი დავრწმუნდით, რომ ყველასთან შეიძლება თამაში და გამარჯვება. ჰოლანდიაში „ვილემის" მატჩებზე არ ჩავალ, ახლა „დინამოს" მიტოვება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

— ახლა უკვე შემიძლია გითხრათ, რომ „დინამოს" ჰყავს ლიდერი — ლევან ცქიტიშვილი, მან მართლაც რომ გვარიანად მოუმატა თამაშს. როცა „დინამოში" მთავარ მწვრთნელად მოვედი, ფეხბურთელებს უძნელდებოდათ ახალ რეჟიმს მორგებოდნენ, რაღაცრაღაცები არ სიამოვნებდათ. აუცილებელია, ფეხბურთელების თვითშეგნებამდე მივიყვანოთ, რომ რის გაკეთებასაც მათ ვაიძულებ, საჭიროა. ცხვირი არ უნდა ავწიოთ, არ უნდა მოვდუნდეთ და მოვეშვათ.

— დავით მუჯირი რამენაირად უნდა „ავამუშაოთ", თორემ ძალიან გაუჭირდება. მას ჰგონია, რომ მეტი არ შეუძლია, არადა, ყველაზე მეტი შეუძლია, მეტოქეს უკან რომ გამოეკიდოს — ესეც შეუძლია და ბურთისათვის რომ იბრძოლოს.

— ბილბაოში თამაშის შემდეგ, ყველა დინამოელი დარწმუნდა, რომ ფეხბურთის თამაში შეუძლიათ და ბუნებრივია, ყველას გუნდიდან წასვლაზე უჭირავს თვალი. აქ საქმე მხოლოდ მატერიალურ-ეკონომიკურ საკითხებში როდია. ბილბაოში ისეთი ატმოსფერო იყო, ისეთი საზეიმო ვითარება სუფევდა, ისეთი მხარდაჭერა ჰქონდათ „ატლეტიკის" ფეხბურთელებს გულშემატკივრებისაგან, რომ მართლაც ძნელია ფეხბურთელი ჩვენთან დააკავო. სხვათა შორის, ბილბაოელმა გულშემატკივრებმა ჩვენს ბიჭებსაც დაუკრეს ტაში, ჩვენთან კი „დინამოს" თამაშებზე ერთი-ორი გულშემატკივარი თუ შეიწუხებს თავს. როცა ქართველი ფეხბურთელის ასეთ ყოფას ვუყურებ, სიმართლე გითხრათ, გული მტკივა.

— „დინამოს" დატოვებს კობიაშვილი. ჯამარაულის დაბრუნების, ახლა უკვე კიდევ უფრო მცირე შანსია. სხვა ფეხბურთელების წასვლა-დარჩენაზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. გვყავს შევსებაც — ესაა არჩვაძე და მიქაძე (ბოლო დროს პირველი „ლოკომოტივში" თამაშობდა, მეორე — პოლონეთში).

დათო თავართქილაძე

UEFA CUP

უეფას თასი | თბილისის „დინამოს" მეტოქე

# საკმაოდ მომძლავრებული „ვილემ II"

***თბილისის „დინამოს" წილისყრამ უეფას თასზე მეტოქედ ჰოლანდიური კლუბი, ქ. ტილბურგის „ვილემ II" არგუნა***

ორიოდე სიტყვა თვით კლუბის სახელწოდების შესახებ. გერმანიის 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შედეგად დამხობილი იმპერატორი ვილჰელმ II ჰოლანდიაში გაიქცა და ქ. ტილბურგში დასახლდა. აქ შექმნილ კლუბსაც ამ ყოფილი მონარქის სახელი ეწოდა.

ტილბურგი სამხრეთ ჰოლანდიაში ქალაქების ეინდჰოვენისა და ბრედას ახლოს მდებარეობს, ვილჰელმინას არხის ნაპირზე, ჩრდ. ბრაბანტის პროვინციაში. აქ 151 ათასი მცხოვრებია. საფეიქრო (უმთავრესად შალეულის) მრეწველობის ცენტრია. არის აგრეთვე მანქანათმშენებლობის, ქიმიური, კვების მრეწველობა.

ჰოლანდიის ფეხბურთის კავშირი (კენიგლიიე ნიდერლანდშე ვეტბოლდუნგ) ჯერ კიდევ 1889 წელს შეიქმნა. ფიფას წევრია 1904 წლიდან, უეფაში გაწევრიანდა 1954 წლიდან. ჰოლანდიაში ფეხბურთი მეტად პოპულარულია, დაახლოებით 8 ათასი კლუბი, 1 113 000 ორგანიზებული ფეხბურთელი. ეს კი დაახლოებით 1 ფეხბურთელია ქვეყნის 13 მცხოვრებზე. ითვლება, რომ ჰოლანდიური ფეხბურთი — ტექნიკური, მკვეთრი, შემტევი, ძირითადად ინგლისური სტილის გავლენით განვითარდა.

ეროვნული ჩემპიონატი (სეზონი აგვისტოში იწყება და ივნისში მთავრდება) 1898 წლიდან ტარდება. აქ ტილბურგის კლუბმა, რომელიც 1896 წელს დაარსდა, საყოველთაო აღიარება 1916 წელს დაიმსახურა, როცა ქვეყნის ჩემპიონი გახდა. 1926 წელს პირველად მოიპოვა ქვეყნის თასი. ეს წარმატება მან 1944 წელს გაიმეორა. თავის ჭერს იმდროინდელმა „ვილემ II-ემ" 1952 და 1955 წლებში მიაღწია, როცა ქვეყნის ჩემპიონი გახდა, 1963 წელს კი კვლავ თასს დაეუფლა. ამის შემდეგ ტილბურგელთა წარმატებებმა მკვეთრად იკლო, ქვეყნის უძლიერესი კლუბების რიცხვს „ვილემ II" უკვე აღარ მიეკუთვნებოდა.

ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციით, ჰოლანდიის ფეხბურთში გაბატონდა დიდი სამეული ამსტერდამის „აიაქსი", როტერდამის „ფეიენოორდი" და „პსვ ეინდჰოვენი", რომლებიც ინაწილებენ ჩემპიონობას და თასს. მათ დავაში ძნელად თუ ვინმე ჩაერევა ხოლმე, თუმცა ქვეყნის 1997-98 წლების ჩემპიონატში, რომელშიც 18 კლუბი მონაწილეობდა, კარგად ითამაშეს „ვიტესმა" (მესამე ადგილი 70 ქულით) და „ვილემ II"-ემ პირველი ადგილი უზარმაზარი უპირატესობით ამსტერდამის „აიაქსმა" დაიკავა, რომელმაც 89 ქულა მოაგროვა (ბურთების სხვაობით 112-22) და მთელი 17 ქულით (!) გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ „ეინდჰოვენს". მეოთხე 61 ქულით იყო როტერდამის „ფეიენოორდი".

„ვილემ II"-მ, თუმცა უძლიერეს კლუბებთან კონკურენციის გაწევა ვერ შეძლო, თავისათვის საპატიო მეხუთე ადგილი დაიკავა. მოაგროვა 55 ქულა, 34 თამაშიდან მოიგო 17, ოთხი ფრედ დაასრულა, 13 წააგო, ბურთების სხვაობით 66-58. ამით მან უეფას თასზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა. საინტერესოა, რომ მეექვსე ადგილზე გასულ „ჰერენვენს", საკმაოდ უცნაურად თასების მფლობელთა თასზე თამაშის უფლება მიეცა და აი, როგორ. თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „აიაქსი" და „პსვ ეინდჰოვენი" (5-0 „აიაქსის" სასარგებლოდ). მაგრამ, რადგანაც ერთმაც და მეორემაც ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა, გადაწყდა დამატებითი მატჩის მოწყობა ნახევარფინალში დამარცხებულ „ჰერენვენსა" და „ტვენტეს" შორის, რომელიც „ჰერენვენმა" მოიგო ანგარიშით 3-1.

„ვილემ II"-ს წვრთნის ადგილობრივი სპეციალისტი კო ადრიაანსე. გუნდი სტადიონ „ვილემ II"-ზე (იტევს 14 700 მაყურებელს) ატარებს მატჩებს. ჰოლანდიის ჩემპიონატის პირველ მატჩში ამსტერდამის „არენაზე" ტილბურგელები „აიაქსს" შეხვდნენ და წააგეს 0-2 (გოლები გაიტანეს შოთა არველაძემ და დენი ბლინდმა). სტუმრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ვან ფესემი; ვიქტორია, შენინგი, ჰიიპია, შეკური, ჰილი (შულპი), გალაშეკი, არტსი, ლოფენი, რამზი, ფალკი.

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ჯგუფი IV ტური

### ტორპედო (ქუთაისი) — დინამო (ბათუმი) 3–3

*ტორპედო:* ასლანიძე (მამარდაშვილი, 46), ჩხაბერიძე, ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კვეტენაძე, დ. ჯანაშია, ვაჩიბერაძე (მეგრელაძე, 33), ჯინჯარაძე, იონანიძე, ჩხეტიანი (ჩხაიძე, 73).

*დინამო (ბთ.):* ტოგონიძე, სიჭინავა, თორდაშვილი, ღლონტი, ვერემჩუკი, ყულეჯიშვილი (კანტიძე, 36, ფუტკარაძე, 87), მახარაძე, პაპიძე, მაჭუტაძე, ტუღუში, რუსია (ფხაზავა, 52).

*გოლები:* 0-1 სიჭინავა (16), 1-1 ჯანაშია (29), 2-1 მეგრელაძე (46), 3-1 იონანიძე (54), 3-2, 3-3 ტუღუში (64 პენ. 70).

*გააფრთხილეს:* მეგრელაძე, ჯანაშია, მახარაძე, ტუღუში, რუსია.

*გააძევეს:* პაპიძე.

*მსაჯი:* ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

### სამგურალი (წყალტუბო) — თსუ 0–1

*სამგურალი:* სტურუა, ფრანგიშვილი, გრ. თევზაძე, კოლუაშვილი (ქუთათელაძე, 66), ჰელიძე, მახვილაძე, ხაჭაპურიძე (უგულავა, 46), დარსაძე, ფაიქიძე, თევდორაძე, ძაგნიძე (ჯავახაძე, 70).

*თსუ:* ბათიაშვილი, ილურიძე, ზამთარაძე, თ. კობიაშვილი, ინწკირველი (ნინუა, 46), ცომაია, კაკუბავა (გ. ღუდუშაური, 88), მაღრაძე, წიტაიშვილი, ჰუმბურიძე, როსტიაშვილი (სვანიძე, 79).

*გოლი:* კობიაშვილი (57).

*გააფრთხილეს:* თევდორაძე, ილურიძე, ზამთარაძე.

*მსაჯი:* სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

### დილა (გორი) — კოლხეთი-1913 (ფოთი) 2–1

*დილა:* მდივანი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, ვ. სამხარაძე, ხ. გაგნიძე, გ. ჩიტაია, მარეხაშვილი (შატაკიშვილი, 88), ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, თაყაძე, ახალკაცი (ბ. ჩიტაია, 46).

*კოლხეთი-1913:* ქვაჩახია, პაპავა, ტორჩინავა, ახვლედიანი (ღაღანიძე, 73), გიორგობიანი, გოროზია, სუხიაშვილი, კალანდაძე, ე. გვასალია, წივწივაძე, ქობულაძე (შავგულიძე, 75).

*გოლები:* 1-0 კაიდარაშვილი (25), 1-1 კალანდაძე (33), 2-1 მარეხაშვილი (45).

*გააფრთხილეს:* გ. ჩიტაია, თაყაძე, ფეზუაშვილი, ვ. ჩიტაია, გვასალია, გოროზია, პაპავა, წივწივაძე.

*გააძევეს:* ციცქიშვილი.

*მსაჯი:* ლევან ფანიაშვილი (თბილისი).

### დინამო (თბილისი) — სიონი (ბოლნისი) 8–1

*დინამო:* გვარამაძე, ი. მახარაძე (სახვაძე, 61), ჯელაძე, დიდავა, მიქაძე, გურჩა, კოკნაძე, ალექსიძე, აშვეთია (მელქაძე, 58), ცქიტიშვილი, ხომერიკი (გ. შენგელია, 58).

*სიონი:* დალაქიშვილი, სვანიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ძნელაძე, გ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, მ. გოგოლაძე, გ. ჯაფარიძე (ქობელაშვილი, 46), გაგუა (პოზოიანი, 68), მოსეშვილი (დ. ჯაფარიძე, 46).

*გოლები:* 0-1 მოსეშვილი (13), 1-1 ხომერიკი (23), 2-1 ალექსიძე (35), 3-1 ხომერიკი (44), 4-1 ცქიტიშვილი (45), 5-1, 6-1 შენგელია (60, 65), 7-1 მელქაძე (71), 8-1 ალექსიძე (73).

*მსაჯი:* პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი).

### გურია (ლანჩხუთი) — ოდიში (ზუგდიდი) 1–2

*გურია:* გოგუა, ფაცურია (თიბილაშვილი, 51), კაკაჩია, კუკულაძე, ბუხრიკაძე, კავთელაძე (ლორია, 51), ინიაშვილი, დ. მახარაძე, გიორგაძე, მელაძე, ბულუხია (პატარაია, 51).

*ოდიში:* ნაყოფია, ღურწკაია, ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ტყემალაძე, კ. კვეკვესკირი, ანჯაფარიძე (იოსავა, 46), კუტალაძე (კაკულია, 79), ბარქაია, ტაბაღუა, ენდელაძე.

*გოლები:* 0-1 ენდელაძე (18), 1-1 ინიაშვილი (31), 1-2 კუტალია (48). 39-ე, 72-ე წუთებზე მელაძემ და მახარაძემ ვერ გამოიყენეს პენალტი.

*გააფრთხილეს:* მელაძე, ბუხრიკიძე, ბარქაია, ლორია.

*მსაჯი:* გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი).

### «ტორპედო» (ქუთაისი) — «დინამო» (ბათუმი) 3–3

ეს მატჩი მეტად პრინციპული იყო ორივე გუნდისათვის: „ტორპედოს" აქამდე ქულა არ ჰქონდა დაკარგული, ხოლო ბათუმის „დინამოს" უფერული სტარტის გამო „ვალი ჰქონდა გადასახდელი", ამიტომ გუნდებმა თამაში მეტად სწრაფ ტემპში, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყეს. მე-2 წუთზ კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი ჯინჯარაძემ ააცილა კარს. მე-9 წუთზე კი თორლაშვილის საჯარიმო დარტყმა ძელს მოხვდა.

მე-16 წუთზე ბათუმელები დიდხანს აკონტროლებდნენ ბურთს, ბოლოს სიჭინავამ შორიდან აიღო „ტორპედოს" კარი. ამის შემდეგ „ტორპედო" უფრო გააქტიურდა, რასაც უკანასკნელი იმედის, ჯარიმის საფასურად პაპიძის მინდვრიდან გაძევება მოჰყვა. მალე ვაჩიბერაძის საჯარიმოში ჩამოწოდებული ბურთი იონანიძემ თავით დაუგდო ჯანაშიას, რომელმაც ანგარიში გაათანაბრა.

32-ე წუთიდან მოყოლებული იონანიძეს ორ წუთში სამჯერ შეეძლო ბურთის გატანა. ამის შემდეგ ბათუმელებმა ტემპი დააგდეს, ისინი დიდხანს აკონტროლებდნენ ბურთს და არ აძლევდნენ მასპინძლებს შეტევის განვითარების შესაძლებლობას. მხოლოდ 43-ე წუთზე ჯანაშია აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ და ტოგონიძემ ფეხით ძლივს მოიგერია ბურთი.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ტორპედოელი გია მეგრელაძე გასცდა ორ მცველს და 23-25 მეტრიდან მეტად ლამაზი გოლი გაიტანა 2-1, ერთ წუთში მაღლაკელიძის დარტყმა მცირე მანძილით ასცდა კარს. „ტორპედო" მასირებულ შტურმზე გადავიდა. ჯანაშიამ, მეგრელაძემ, იონანიძემ, ისევ მეგრელაძემ ხელსაყრელი მომენტები გაუშვეს ხელიდან. ამ შტურმს 54-ე წუთზე ჯანაშია — ჩხეტიანი — იონანიძის შესანიშნავი კომბინაცია და გოლი მოჰყვა.

ამის შემდეგ „ტორპედომ" ტემპი დააგდო და თამაშმა უფრო მინდვრის ცენტრში გადაინაცვლა. 64-ე წუთზე სრულიად უწყინარ სიტუაციაში მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა „ტორპედოს" კარში, რომელიც ზუსტად გამოიყენა ტუღუშმა, წარმატებამ ბათუმელებს ფრთები შეასხა ერთ-ერთი შეტევისას ტუღუშმა თავისი მეორე გოლიც გაიტანა 3-3.

კაცნაკლულმა „დინამომ" თავისი თამაში მოახვია მეტოქეს და ცდილობდა მოედნის ცენტრში დაეჭირა ბურთი, რაც მოახერხა კიდეც და შეინარჩუნა მისთვის სასურველი ანგარიში.

მიხეილ ქორქოლიანი,
„ლელოს" კორესპონდენტი ქუთაისში

### სამგურალი (წყალტუბო) — თსუ 0–1

გუნდებმა მატჩი ურთიერთდაზვერვით დაიწყეს. პირველ წუთებში ბრძოლა მიმდინარეობდა მინდვრის შუაგულში. ნელ-ნელა გამოიკვეთა მასპინძელთა მცირე ტერიტორიული უპირატესობა — მხოლოდ ტერიტორიული, რადგან რაიმე ხიფათის შექმნას ისინი ვერ ახერხებდნენ. სტუდენტები კონტრშეტევებით პასუხობდნენ და ასე ცდილობდნენ მასპინძელთა კარის დალაშქვრას. ერთ-ერთი კონტრშეტევისას შეცდა წყალტუბოელთა მცველი კოლუაშვილი და წიტაიშვილს შეეძლო ანგარიში გაეხსნა, მაგრამ საბოლოო დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა. ტაიმის მიწურულს ორივე გუნდს ჰქონდა კარის აღების შესაძლებლობა. ჯერ დარსაძე ურტყამდა საშუალო მანძილიდან, ბურთი მცველს შეეხო და ძელს მოხვდა. ამის შემდეგ ბურთი მეკარესთან მარტო მყოფ ფაიქიძეს მიუვიდა, მისი დარტყმა კი ხარიხას მოხვდა. სტუმრებმა სწრაფი კონტრშეტევით უპასუხეს და მასპინძელთა მცველის მახვილაძის შეცდომის შემდეგ, მეკარესთან მარტოდ დარჩენილმა წიტაიშვილმა ბოლო მომენტში ვერ შეძლო ბურთის ბადეში გადაგზავნა.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა ენერგიულად დაიწყეს და შექმნეს კიდევაც საგოლე მომენტი, მაგრამ უგულავას დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია.

ერთადერთი გოლი კი ასე გავიდა: მარჯვენა ფლანგზე დაინიშნა ჯარიმა, კაკუბავამ მეკარის მოედანთან ახლოს ჩააწოდა ბურთი და სტუმართა კაპიტანმა კობიაშვილმა ლამაზი თავური დარტყმით გახსნა ანგარიში.

ამის შემდეგ თამაში უფრო დაიძაბა. ზოგიერთ ფეხბურთელს ნერვებმაც უმტყუნა და კვარაცხელიამ რამდენიმე მათგანი ყვითელი ბარათით „დაასაჩუქრა". დასამახსოვრებელი იყო სტუმართა კონტრშეტევა, სადაც სტუდენტთაგან ყველაზე აქტიურმა წიტაიშვილმა ვერ მოახერხა გაეზარდა ანგარიში. მატჩის ბოლოს კი თევდორაძეს შეეძლო თამაშის გადარჩენა, მაგრამ პირველ მომენტში მისი დარტყმა არაზუსტი იყო, ხოლო მეორე ეპიზოდში მეკარემ ითამაშა კარგად.

მატჩის შემდეგ სტუდენტთა მთავარმა მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ აღნიშნა: „გუნდი ფინანსების უქონლობის გამო ფაქტიურად მოუმზადებელი შეხვდა ეროვნულ ჩემპიონატს. რაც შეეხება მატჩს, იგი ორმხრივი შეტევებით მიმდინარეობდა და ორივე გუნდს შეეძლო მატჩის მოგება. შედეგით კმაყოფილი ვარ და რაც მთავარია, იმით, რომ ნავსი გავტეხეთ და აწი უფრო შემართებით და მონდომებით ვიბრძოლებთ".

გიორგი მინდელი,
„ლელოს" კორ. იმერეთის მხარეში.
წყალტუბოდან.

### მერანი — 91 (თბილისი) — გორდა (რუსთავი) 1–1

*მერანი:* ნაჭყებია, ჰინჯარაული, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, გეწაძე (კვეტენაძე, 73), გ. ქორიძე, ცქიფურიშვილი, დავითაშვილი, ხუციშვილი, მესხი.

*გორდა:* მ. ქორიძე, ხუჯაძე, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, კილასონია, ტარტარაშვილი, ზირაქაძე (მჭედლიძე, 46), ლაბაძე, (ჩოხელი, 56), ჩუხუა, კ. ალადაშვილი.

*გოლები:* ჩუხუა (79), გ. ქორიძე (90, პ.)

*მსაჯი:* ლ. რაზმაძე (გორი).

ამ გუნდებს დღესდღეობით, რბილად რომ ვთქვათ, არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა აქვთ. მარტო გათამაშების ცხრილში როდია საქმე — „მერანიც" და „გორდაც" ჯერჯერობით ისე თამაშობენ, რომ თავს ვერაფრით მოიწონებენ და საკუთარ ქომაგებს არც თუ ისე ნათელ მომავალს პირდებიან. ავჭალელ გულშემატკივრებს მხოლოდ დავითაშვილისა და გელა ქორიძის „მერანში" დაბრუნება თუ გაახარებს, რუსთაველების მთავარი იმედი კი ისევ გუნდში დაბრუნებული კილასონიაა.

მატჩის არბიტრს აშკარად ეტყობოდა, რომ კარგა ხანია I ჯგუფის შეხვედრები არ უმსაჯია და დაბნეულად, უპრინციპოდ მოქმედებდა. მის მიერ ბოლო წამებზე რუსთაველთა კარში დანიშნული თერთმეტრიანის ობიექტურობაში ეჭვის შეტანა ცოტა არ იყოს ჭირს, მაგრამ, როცა „გორდას" თითქმის ყველა ფეხბურთელმა იერიში მიიტანა თვით ლავრენტი რაზმაძეზე, აქ კი მართლაც რომ მოეთხოვებოდა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ჯგუფის არბიტრს პრინციპულობა. მაგრამ ვის უნდა მოვთხოვოთ თვით მსაჯების დაცვა? და კვლავ გლობალური პრობლემის წინაშე ვდგავართ, ერთი და იგივე რამდენჯერმე მეორდება, მაგრამ არაფერი იცვლება, უკვე ყველაფერს გაუშინაურდა ეროვნულ ჩემპიონატზე მიპყრობილი თვალები.

### არსენალი (თბილისი) — იბერია (სამტრედია) 2 — 5.

*არსენალი:* ჩლაიძე, ლაცაბიძე, ცერცვაძე, გველესიანი, თევზაძე, მაისურაძე (ამირიძე, 75) ყოლბაია, ლომიძე, კორძალიძე (ყუფარაძე, 66), კაკაშვილი (სულაძე, 65), ტარიელაშვილი.

*იბერია:* ჩაჩუა, გაბრიჭიძე (ნიკოლეიშვილი, 19), მიქელაძე (ლურსმანაშვილი, 49), გეგეშიძე, ს. გიგიაძე, ბრეგვაძე, ჩომახიძე, ხუჭუა, ვ. გიგიაძე, დარასელია, სადილიანი (ივერიანი, 60)

*გოლი:* კაკაშვილი (3 პ, 14), სადილიანი (57), ივერიანი (72), ჩომახიძე (75,80), ხუჭუა (87).

*გააფრთხილეს:* გველესიანი, ლომიძე, ყოლბაია, ნიკოლეიშვილი, ხუჭუა, თევზაძე.

*გააძევეს:* გველესიანი

*მსაჯი:* თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).

კარგია, როცა ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მატჩზე მისულთ არ ჩაეყვინთებათ, დაძაბულ, შედარებით მაღალტემპიან, უხვგოლიან თამაშს შეესწრებიან. მაგრამ ცუდია, როცა მსაჯობით უკმაყოფილოებს, კამათის ახალ-ახალი მიზეზი ებადებათ. თუმცა, ამით დიდი არაფერი დაუშავდებათ მატჩზე მისულთ, რადგან უშუალოდ მსაჯის მიერ გარდატეხა თამაშის მსვლელობაში, ფეხბურთის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი გახდა.

სტუმართა გუნდის მცველები მატჩის დებიუტში რატომღაც ძალიან დაბნეულები გამოიყურებოდნენ, აშკარა, უპატიებელ შეცდომებს უშვებდნენ და „არსენალის" ფორვარდებს უფრო მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, შესაძლოა გველესიანის მე-20 წუთზე გაძევება ასე ძვირად არ დასჯდომოდათ. ორბურთიანი ფორა კი 10 ფეხბურთელის ამარად დარჩენილმა „არსენალმა" ვერ იმყოფინა, „იბერია" რიცხობრივი უპირატესობის მოპოვებამდეც უფრო საინტერესოდ და კომბინაციურად ირჯებოდა შეტევაში, რის გამოც მასპინძლები მხოლოდ მსაჯს ნაღდად ვერ დააბრალებენ ასეთ შედეგს. ინდივიდუალური თამაშის მხრივაც სამტრედიელები უკეთ გამოიყურებოდნენ, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ჩომახიძე, რომლის ორივე გოლი მისი ნაღდი სოლო გახლდათ.

დათო თავართქილაძე

## მეორე ჯგუფი ● I ტური

### დასავლეთი ზონა, „ა" ქვეჯგუფი

მაღაროელი (ჭიათურა) — საირმე (ბაღდათი) 0-0, მარგვეთი (ზესტაფონი) — ჩიხურა (საჩხერე) 5-0, იმერეთი (ხონი) — სამგურალი-2 (წყალტუბო) 1-3, დინამო (გაგრა) — ოკეანე (სამტრედია) 2-0, ტორპედო-2 (ქუთაისი) — იბერია-2 (სამტრედია) 3-1, სულორი (ვანი) — რაჭა (ამბროლაური) 1-0, მეშახტე (ტყიბული) — რიონი (ქუთაისი) — გადაიდო.

### დასავლეთი ზონა, „ბ" ქვეჯგუფი

მერცხალი (ოზურგეთი) — ბახმარო (ჩოხატაური) 5-1, ფაზისი (ფოთი) — კოლეჯი (ბათუმი) 3-1, სქური (წალენჯიხა) — ოდიში-2 (ზუგდიდი) 2-1. ენგური (ზუგდიდი) — სალხინო (მარტვილი) 1-0, სამეგრელო (ჩხოროწყუ) — კოლხეთი-2 (ფოთი) 4-0, ეგრისი (სენაკი) — შუქურა (ქობულეთი) 2-0.

### ცენტრალური ზონა

ივერია (ხაშური) — მესხეთი (ახალციხე) 6-2, ცხუმი (სოხუმი) — იბერია (თბილისი) 2-3, ლოკომოტივი-2 (თბილისი) — საუ 2-3, იბერია (ქარელი) — ჭინერი 3-0, დილა-2 — განთიადი (კასპი) 1-3, ვარძია (ასპინძა) — დინამო-2 (თბილისი) 1-4, ცხინავალი — თორი (ბორჯომი) 4-1.

### აღმოსავლეთი ზონა

შსს აკადემია (თბილისი) — მრეტები (თბილისი) 3-0, არსენალი-2. (თბილისი) — კახეთი (თელავი) 2-1, ყვარელი — ჭაბუკიანი (ლაგოდეხი) 1-1, დინამო-3 (თბილისი) — შავნაბადა (თელეთი) 1-2, ალგეთი (მარნეული) — ხალიბი (რუსთავი) 0-1, უნივერსიტეტი (თბილისი) — ქანაგკო (სართიჭალა) 4-1, ალაზანი (გურჯაანი) — დარწყალი (ძველი ანაგა) 0-3.

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## ევროპის სუპერთასი

UEFA SUPER CUP

### ინგლისელებმა – ევროპის რჩეული გუნდი ვართო

**ჩელსი (ინგლისი) – რეალი (ესპანეთი) 1-0**

*ჩელსი:* დე გუი, ფერერი, ლებეფი, დესაი, ლე სო, დაბერი, უაიზი, დი მატეო (პოიეტი, 63), ბაბაიარო, ძოლა (ბ. ლაუდრუპი, 83), კაზირაგი (ტორე ანდრე ფლო, 90).

*რეალი:* ილგნერი, პანუჩი, სანჩისი, იერო, რობერტო კარლოსი, კარამბუ (მორიენტესი, 58), ზეედორფი, რედონდო, სავიო, მიატოვიჩი (იარნი, 75) რაული.

*გოლი:* პოიეტი (83).

ამიერიდან სუპერთასი ერთ მატჩში გათამაშდება, გადაწყვიტეს უეფაში და პირველად ცხოვრებაში თავისი განზრახვა მონტე-კარლოში განახორციელეს. ძნელი სათქმელია, რა შედეგით დასრულდებოდა ორრაუნდიანი პაექრობა, ახალი სისტემით კი უფრო პრესტიჟულ-ტურნირმოგებული „რეალი“ ხელმოცარული დარჩა.

ერთადერთი გოლი მატჩის მიწურულს ურუგვაელმა გუსტავო პოიეტმა შეაგდო – ძლიერი დარტყმით მარცხენა დაბალ კუთხეში. პოიეტი მატჩის გენერალურმა სპონსორმა საავტომობილო ფირმა „ნისანმა“ ავტომობილით დაასაჩუქრა, ხოლო „ჩელსის“ ბედნიერმა იტალიელმა მოთამაშე-მწვრთნელმა ესლა ამოლერლა: „ცხადია, „რეალის“ დამარცხება ადვილი არ იყო, მაგრამ ჩვენ წარმატებისა გვჯეროდა. მადლობა ყველას, ვინც მატჩის წინ გაგვამხნევა, პირველ რიგში, მინდა ამისათვის მოკრძალებით ჩამოვართვა ხელი ინგლისის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ჯონ მეიჯორს, სწორედ ასეთ ერთგულ გულშემატკივრებს ვუძღვნით დღეს ამ გამარჯვებას“.

## კენჭისყრამ ასე დაანაწილა

### ჩემპიონთა ლიგა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | კროაცია(ხორვატია) | | -- | -- | -- | | |
| 2. | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | -- | | -- | -- | | |
| 3. | პორტუ (პორტუგალია) | -- | -- | | -- | | |
| 4. | აიაქსი (ჰოლანდია) | -- | -- | -- | | | |

**16 სექტემბერი.** პორტუ – ოლიმპიაკოსი,კროაცია – აიაქსი
**30 სექტემბერი.** ოლიმპიაკოსი – კროაცია, აიაქსი – პორტუ
**21 ოქტომბერი.** ოლიმპიაკოსი – აიაქსი, პორტუ – კროაცია
**4 ნოემბერი.** აიაქსი – ოლიმპიაკოსი, კროაცია პორტუ
**25 ნოემბერი.** ოლიმპიაკოსი – პორტუ, აიაქსი – კროაცია
**9 დეკემბერი.** პორტუ – აიაქსი, კროაცია – ოლიმპიაკოსი

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | გალათასარაი (თურქეთი) | | -- | -- | -- | | |
| 2. | რუსენბორგი (ნორვეგია) | -- | | -- | -- | | |
| 3. | ატლეტიკი (ესპანეთი) | -- | -- | | -- | | |
| 4. | იუვენტუსი (იტალია) | -- | -- | -- | | | |

**16 სექტემბერი.** ატლეტიკი – რუსენბორგი, იუვენტუსი –. გალათასარაი
**30 სექტემბერი** .გალათასარაი – ატლეტიკი, რუსენბორგი – იუვენტუსი
**21 ოქტომბერი.** რუსენბორგი – გალათასარაი, ატლეტიკი – იუვენტუსი
**4 ნოემბერი.** გალათასარაი – რუსენბორგი, იუვენტუსი – ატლეტიკი
**25 ნოემბერი.** რუსენბორგი – ატლეტიკი, გალათასარაი – იუვენტუსი
**9 დეკემბერი.** ატლეტიკი – გალათასარაი, იუვენტუსი – რუსენბორგი

| № | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | სპარტაკი (რუსეთი) | | -- | -- | -- | | |
| 2. | შტურმი (ავსტრია) | -- | | -- | -- | | |
| 3. | ინტერი (იტალია) | -- | -- | | -- | | |
| 4. | რეალი (ესპანეთი) | -- | -- | -- | | | |

**16 სექტემბერი.** რეალი – ინტერი, შტურმი – სპარტაკი
**30 სექტემბერი.** სპარტაკი – რეალი, ინტერი – შტურმი
**21 ოქტომბერი.** ინტერი – სპარტაკი, რეალი – შტურმი
**4 ნოემბერი.** სპარტაკი – ინტერი, შტურმი – რეალი
**25 ნოემბერი.** ინტერი – რეალი, სპარტაკი – შტურმი
**9 დეკემბერი.** რეალი – სპარტაკი, შტურმი – ინტერი

| № | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბრონდბიუ (დანია) | | -- | -- | -- | | |
| 2. | მანჩესტერი (ინგლისი) | -- | | -- | -- | | |
| 3. | ბაიერნი (გერმანია) | -- | -- | | -- | | |
| 4. | ბარსელონა (ესპანეთი) | -- | -- | -- | | | |

**16 სექტემბერი.** ბრონდბიუ – ბაიერნი, მანჩესტერი – ბარსელონა
**30 სექტემბერი.** ბარსელონა – ბრონდბიუ, ბაიერნი – მანჩესტერი
**21 ოქტომბერი.** ბაიერნი – ბარსელონა, ბრონდბიუ – მანჩესტერი
**4 ნოემბერი.** ბარსელონა – ბაიერნი, მანჩესტერი – ბრონდბიუ
**21 ნოემბერი.** ბაიერნი – ბრონდბიუ, ბარსელონა – მანჩესტერი
**9 დეკემბერი.** ბრონდბიუ – ბარსელონა, მანჩესტერი – ბაიერნი

| № | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | დინამო (უკრაინა) | | -- | -- | -- | | |
| 2. | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | -- | | -- | -- | | |
| 3. | არსენალი (ინგლისი) | -- | -- | | -- | | |
| 4. | ლანსი (საფრანგეთი) | -- | -- | -- | | | |

**16 სექტემბერი.** ლანსი – არსენალი, პანათინაიკოსი – დინამო
**30 სექტემბერი.** დინამო – ლანსი, არსენალი – პანათინაიკოსი
**21 ოქტომბერი.** არსენალი – დინამო, ლანსი – პანათინაიკოსი
**4 ნოემბერი.** დინამო – არსენალი, პანათინაიკოსი – ლანსი
**25 ნოემბერი.** არსენალი – ლანსი, დინამო – პანათინაიკოსი
**9 დეკემბერი.** ლანსი – დინამო, პანათინაიკოსი – არსენალი

| № | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ჰიკ (ფინეთი) | | -- | -- | -- | | |
| 2. | ბენფიკა (პორტუგალია) | -- | | -- | -- | | |
| 3. | ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | -- | -- | | -- | | |
| 4. | კაიზერსლაუტერნი (გერმანია) | -- | -- | -- | | | |

**16 სექტემბერი.** ეინდჰოვენი – ჰიკ, კაიზერსლაუტერნი – ბენფიკა
**30 სექტემბერი.** ბენფიკა – ეინდჰოვენი, ჰიკ – კაიზერსლაუტერნი
**21 ოქტომბერი.** ჰიკ – ბენფიკა, ეინდჰოვენი – კაიზერსლაუტერნი
**4 ნოემბერი.** ბენფიკა – ჰიკ, კაიზერსლაუტერნი – ეინდჰოვენი
**25 ნოემბერი.** ჰიკ – ეინდჰოვენი, ბენფიკა – კაიზერსლაუტერნი
**9 დეკემბერი.** ეინდჰოვენი – ბენფიკა, კაიზერსლაუტერნი – ჰიკ

## უეფას თასი

UEFA CUP

**1/32 ფინალი 15-29 სექტემბერი**

დინამო (თბ., საქართველო) — ვილემ-II (ჰოლანდია)
მარსელი (საფრანგეთი) — სიგმა (ჩეხეთი)
სპარტა (ჩეხეთი) — სოსიედადი (ესპანეთი)
ვერდერი (გერმანია) — ბრანი (ნორვეგია)
ფენერბახჩე (თურქეთი) — პარმა (იტალია)
ბლექბერნი (ინგლისი) —ლიონი (საფრანგეთი)
დინამო (რუსეთი) — სკონტო (ლატვია)
გიმარაეში (პორტუგალია) — სელტიკი (შოტლანდია)
შტუტგარტი (გერმანია) — ფეიენოორდი (ჰოლანდია)
არჯეში (რუმინეთი) — სელტა (ესპანეთი)
სილკებორგი (დანია) — რომა (იტალია)
ლოძი (პოლონეთი) — მონაკო (საფრანგეთი)
ანდერლეხტი (ბელგია) — გრასჰოპერსი (შვეიცარია)
ლიტექსი (ბულგარეთი) — გრაცი (ავსტრია)
ფიორენტინა (იტალია) — ჰაიდუკი (ხორვატია)
ასტონ ვილა (ინგლისი) —სტრომსგორდსეტი (ნორვეგია)
სერვეტი (შვეიცარია) — ცსკა (ბულგარეთი)
შალკე-04 (გერმანია) — სლავია (ჩეხეთი)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მეცი (საფრანგეთი)
კოშიცე (სლოვაკეთი) — ლივერპული (ინგლისი)
სპორტინგი (პორტუგალია) — ბოლონია (იტალია)
მარიბორი (სლოვენია) — ვისლა (პოლონეთი)
ვეილე (დანია) — ბეტისი (ესპანეთი)
ბორდო (საფრანგეთი) — რაპიდი (ავსტრია)
ატლეტიკო (ესპანეთი) — ობილიჩე (იუგოსლავია)
ბეითარი (ისრაელი) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)
ლიდსი (ინგლისი) — მარიტიმო (პორტუგალია)
უდინეზე (იტალია) — ლევერკუზენი (გერმანია)
სტიაუა (რუმინეთი) — ვალენსია (ესპანეთი)
ციურიხი (შვეიცარია) — ანორთოსისი (კვიპროსი)
უიპეშტი (უნგრეთი — ბრიუგე (ბრიუსელი)
ვიტესი (ჰოლანდია) — აეკ (საბერძნეთი)

## თასების თასი

UEFA Cup Winners' Cup

**1/16 ფინალი 17 სექტემბერი 1 ოქტომბერი**

ცსკა (უკრაინა) – ლოკომოტივი (რუსეთი)
მეტალურგი (ლატვია) – ბრაგა (პორტუგალია)
რუდარი (სლოვენია) – ვარტექსი (ხორვატია)
პანიონისი (საბერძნეთი) – ჰაკა (ფინეთი)
რიდი (ავსტრია) – მტკ (უნგრეთი)
ლევსკი (ბულგარეთი) – კოპენჰაგენი (დანია)
ჰერენვენი (ჰოლანდია) – ამიცა (პოლონეთი)
ჰართსი (შოტლანდია) – მალიორკა (ესპანეთი)
ჩელსი (ინგლისი) – ჰელსინგბორგი (შვედეთი)
დუისბურგი (გერმანია) – გენკი (ბელგია)
ბეშიქტაში (თურქეთი) – სპარტაკი (სლოვაკეთი)
რაპიდი (რუმინეთი) – ვალერენგა (ნორვეგია)
აპოლონი (კვიპროსი) – იაბლონეცი (ჩეხეთი)
ნიუკასლი (ინგლისი) – პარტიზანი (იუგოსლავია)
ლაციო (იტალია) – ლოზანა (შვეიცარია)
პსჟ (საფრანგეთი) –მაკაბი (ისრაელი)

## კარგ ფეხბურთს კარგი მინდვრები სჭირდება და... კარგი მწვრთნელი

რუსეთის ნაკრების ნახევარმცველმა სერგეი სემაკმა ჟურნალისტებს განუცხადა:

– მოკლე გადაცემებით თამაშს კარგი მინდვრები სჭირდება, ცუდ მინდორზე ვერ გაითამაშებ, ვთქვათ, „კედელს“, რაც არა მარტო რთული, არამედ სახიფათოც არის: ცუდი, არათანაბარი მინდვრის გამო ბურთს დაკარგავ, და შემტევი ფეხბურთელების მთელ ჯგუფს „მოწყვეტ“. ახლა ევროპის და მსოფლიოს ყველა წამყვანი გუნდი პირველიდან ბოლო წუთამდე უდიდესი სისწრაფით თამაშობს, უზარმაზარი მონდემებითა და შეუპოვრობით, გრძელი გადაცემების გამოყენებით. იქ ყოველივე ეს ძალიან კარგად გამოიყურება, რადგან მსოფლიოს საუკეთესო გუნდებს ძალიან კარგად აქვთ აწყობილი თამაში ტაქტიკური თვალსაზრისით. იქ ყოველთვის მოიძებნება მოთამაშე, რომელსაც შეიძლება ბურთი გადასცე. თუკი ეს დიაგონალური გადაცემაა, აუცილებლად იმას უნდა მიაწოდო, ვინც უკვე ამოძრავდა, თავისუფალ ადგილზეა და არა ისე, რომ ბურთისათვის იბრძოლოს. ასეთი ტაქტიკური სქემით თამაში იოლი არ არის. იგი წლობით უნდა დაამუშაო, და თანაც სათანადო შემსრულებლებიც უნდა მონახო. ყველა ფეხბურთელი, ისეთებიც კი, რომლებიც თითქოს „ყრუ“ თადარიგში არიან, ასეთი თამაშისათვის მზად უნდა იყვნენ. მთავარი ყოველთვის შემსრულებელია. აი შეხედეთ, როგორ თამაშობენ, ვთქვათ, „იუვენტუსის“ მცველები. მათ განლაგებაში, რომ იტყვიან, ნემსიც კი არ ჩავარდება. იგივე დეშამპი ცენტრში უზარმაზარ სამუშაოს ასრულებს, დაცვასაც ეხმარება და თავდასხმასაც. ახლა ზიდანი, ახლა დელ პიერო. და, რა თქმა უნდა, მწვრთნელი. საერთოდ ვთვლი, რომ თანამედროვე ფეხბურთში გადამწყვეტი სიტყვა მწვრთნელს ეკუთვნის. აი, ნახეთ, რა ხდება ევროპაში. წარმატებას აღწევენ ის კლუბები, იმის მიუხედავად, მდიდრები არიან თუ ღარიბები, ჰყავთ ვარსკვლავები თუ არა, მთავარია მწვრთნელი – პიროვნება, მწვრთნელი – მოაზროვნე პროფესიონალი ჰყავდეთ. „კაიზერსლაუტერნი“ მეორე ლიგიდან პირველში გავიდა და მაშინვე ჩემპიონი გახდა. იმიტომ, რომ მას ოტო რეჰაგელი ხელმძღვანელობს, რომელმაც ჯერ კიდევ ბრემენის „ვერდერში“ დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის სპეციალისტია. ახლა „იუვენტუსი“ ავიღოთ, თითქმის ყველა სეზონში თავის საუკეთესო მოთამაშეებს ჰყიდის, კლუბი კი მაინც ერთ-ერთი უძლიერესია ევროპაში. ეს ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა, მწვრთნელ ლიპის დამსახურებაა.



## ოუენმა «მოხსნა» რონალდოს რეკორდი

„ლივერპულმა" გადაწყვიტა 60 მილიონ გირვანქა სტერლინგად (დაახლოებით 100 მილიონ დოლარად) დააზღვიოს თავისი სუპერვარსკვლავი მაიკლ ოუენი. ეს თანხა კი დაადგინეს ოუენის საორიენტაციო სატრანსფერო ფასითა და იმ შემოსავლით, რომელსაც მაისურებისა და სხვა სუვენირების გაყიდვა მოიტანს.

აქამდე ყველაზე დიდ ფასად — 50 მილიონ გირვანქა სტერლინგად რონალდო იყო დაზღვეული.

## ახმედ ალესკეროვმა იცის, რას აკეთებს

**ის, რომ მოლდავეთის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეთა რიცხვი 14-დან 10-მდე შემცირდა, ამ პირველობას, მიმომხილველთა აზრით, უფრო საინტერესოსა და დაძაბულს გახდის.**

**მოლდავეთის უმაღლეს ლიგაში გამოდის ახალი კლუბი, ტირასპოლის „შერიფი", რომელსაც ცნობილი აზერბაიჯანელი მწვრთნელი ახმედ ალესკეროვი წვრთნის. აქ გამოჩნდნენ მოთამაშეები ნიგერიიდან, რუმინეთიდან, უკრაინიდან. თითოეულ გუნდს კი მატჩში 8 (!) უცხოელის გამოყვანის ნება აქვს.**

## ვინ არის ეს ხუ?

სამხრეთ კორეის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა იუნგ მუ ხუ, რომელიც აქამდე კლუბ „ჩუნამ დრეგონზის" ხელმძღვანელი იყო. იგი 43 წლისაა. 1986 წელს თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონატში მექსიკაში, 1994 წელს აშშ-ში კი მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო.

იუნგ მუ ხუმ შეცვალა ცნობილი ბუმ კუნ ჩა, რომლის ხელმძღვანელობით ნაკრები მსოფლიო პირველობაზე ვერაფერს გახდა, სამი მატჩიდან მხოლოდ ერთი დაასრულა ფრედ.

# ათთვიანი მარათონი

## ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა

ძნელი სათქმელია, რამდენად გამართლდება ეს აზრი, მაგრამ ექსპერტები თვლიან, რომ ინგლისის 1998-99 წლების ჩემპიონატში პირველ ადგილს ერთმანეთს 4 გუნდი შეეცილება. სწორედ ისინი, ვინც უკანასკნელ ჩემპიონატში პირველი ოთხი ადგილი დაიკავეს: „არსენალი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ლივერპული" და „ჩელსი".

არსენ ვენგერს „არსენალში" ბრწყინვალე წარმატებები აქვს „იგი ხომ ჩემპიონიც არის და თასის მფლობელიც. ახლა გუნდს ამ ორი ჯილდოს შენარჩუნება ხომ უნდა, და, მესამე ამოცანაც დაუსახეს – ჩემპიონთა ლიგაში შედეგიანად გამოსვლა. ყოველივე ამას ერთი შემადგენლობა რას ეყოფა, საჭიროა თითოეულს მაღალი კლასის შემცვლელიც ჰყავდეს. არსენ ვენგერი ცდილობს კიდეც ამის გაკეთებას. ისე კი „არსენალი" ინგლისურ კლუბს სულ ნაკლებად ჰგავს. აქ თამაშობენ ფართოდ ცნობილი ჰოლანდიელი თავდამსხმელები ბერხკამპი და ოვერმარსი, ფრანგები პეტი, ვიერა, ანელკა (მათ კინაღამ ტიერი ანრიც დაემატა). მას დაემატა ახლახან შეძენილი არგენტინელი მცველი ვივასი. ახლა უძლიერესი ინგლისელი ოსტატები სიმენი და ადამსი, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მწვრთნელმა ჩათვალა, რომ ვეტერანი იან რაიტი აღარ გამოადგებოდა და მას ლონდონის რაიონის შეცვლა მოუხდა: „ვესტ ჰემ იუნაიტედში" გადავიდა.

ამდენჯერ ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედს" მეორე ადგილზე გასვლა ლამის ჩავარდნად ჩაეთვალა. ალექს ფერგიუსონი წლეულს ისევ უკეთესი შედეგის მიღწევას ეცდება. გუნდი შესანიშნავად არის დაკომპლექტებული. ცნობილ თავდამსხმელებს კოულსა და შერინგემს დაემატა შედეგიანი იორკი. დაცვა მეტად საიმედოა: განსაკუთრებით მეკარე შმაეიხელი და ძმები ნევილები. ახლა ნახევარმცველები ბეკჰემი, ბატი, გიგზი. „არსენალისა" არ იყოს, ფერგიუსონი ჩემპიონთა თასზე წარმატებით თამაშს აპირებს. ისე კი, როგორ გნებავთ იბრძოლოთ „ოთხ ფრონტზე" – ჩემპიონთა ლიგაში, ქვეყნის პირველობაზე, ამასთან, ინგლისში ხომ ერთის ნაცვლად ორი თასი თამაშდება. „მანჩესტერ უნაიტედმა" „პარმადან" მიიწვია შვედი ნახევარმცველი ბლომკვისტი, „ეინდჰოვენიდან" – სტამი, ხოლო ცნობილი მცველი პალისტერი „მიდლსბროს" დაუთმო.

„ლივერპულში", როგორც უკვე ვიუწყებოდით, თავისებური მდგომარეობაა: გუნდს ერთი კი არა, ორი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, როი ევანსს ფრანგი ჟერარ ულიე დაემატა. მათ თანაბარი უფლებები აქვთ, და ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, არა ჩივიან. წლეულს გუნდი დიდ იმედებს ამყარებს თავდამსხმელ ოუენზე. მისი დიდი შესაძლებლობები ხომ არა მარტო ინგლისის უკანასკნელმა ჩემპიონატმა, არამედ მსოფლიო ჩემპიონატმაც გვიჩვენა. მასთან წყვილში თამაშობს მრავალნაცადი გერმანელი თავდამსხმელი რიდლე, რომელსაც ერთხანს „ჩამოწერილადაც" კი თვლიდნენ, მაგრამ... შუა ხაზი – მაკმანამანი, ინსი, რედნეპი კვლავინდებურად ძლიერია. გუნდმა შეიძინა ნორვეგიელი მცველი ჰეგემი.

თუკი ვინმემ შეძლო თავისი შემადგენლობის (ისედაც მეტად ძლიერის!) კიდევ უფრო განმტკიცება, ეს უპირველეს ყოვლისა, ლონდონის „ჩელსიზე" ითქმის. ვინ აღარ თამაშობს ახლა ამ გუნდში. ერთ-ერთ ტურში სამ მინდორზე მყოფ იტალიელს: დი მატეოს, ძოლასა და ახლახან „ლაციოდან" გადასულ კაზირაგის ყოველ წუთს შეიძლებოდა დამატებოდა მოთამაშე მწვრთნელი ვიალი, რომელიც სულაც არ აპირებს თავისი „ორმაგი მოვალეობის" შეკვეცას. კაზირაგის გარდა, „ჩელსის" დაემატა შესანიშნავი ესპანელი მცველი ფერერი, მსოფლიო ჩემპიონი დესაიი, ბ. ლაუდრუპი. თუ აქ იმასაც ვიტყვით, რომ გუნდს ძირითად შემადგენლობაში ჰყავს მეკარე დე გუი (ჰოლანდია), ბაბაიარო (ნიგერია), მსოფლიო ჩემპიონი ლებეფი, „ჩელსი" ამ ჩემპიონატში პირველი ადგილის მოპოვებას აპირებს. უკვე ხანდაზმული თავდამსხმელი ჰიუზი „საუთჰემპტონს" დაუთმო.

დანარჩენ კლუბებშიც ბევრი ახალი მოთამაშეა, არიან ცნობილებიც, არიან ნაკლებად ცნობილებიც „ლიდს იუნაიტედმა" დაიმატა მცველი გრანვიი „ჩელსიდან", „ბლეკბერნ როვერსი" გამოეთხოვა ჰენდრის, რომელიც „გლაზგო რეინჯერსში" გადავიდა, მაგრამ მიიღო ძლიერი თავდამსხმელი დეივისი „საუთჰემპტონიდან". „ასტონ ვილას" ახალი მწვრთნელი ჰყავს – ჯონ გრეგორი. მან დაიმატა ნახევარმცველი „ბოლტონ უონდერერსიდან", რომელმაც უმაღლესი ლიგა დატოვა და მცველი ანსოურტი „ვესტ ჰემ იუნაიტედიდან". რაც შეეხება თვით „ვესტ ჰემს", მას ახალი თავდამსხმელი, 34 წლის რაიტი ჰყავს, რომელიც შეეცდება დაამტკიცოს, რომ არ დავიწყებია გოლის გატანა.

სხვა გუნდებიდან უნდა აღინიშნოს „ნიუკასლ იუნაიტედი", სადაც თემურ ქეცბაიას არა სწყალობდა მწვრნელი კენი დალგლიში. მისი შემადგენლობა საგრძნობლად გადახალისდა: ორი ახალი ფრანგია – შარვე „კანიდან" და ცნობილი სნაიპერი გივარში „ოსერიდან", მათ გარდა გერმანიის ნაკრების მოთამაშე ჰამანი მიუნხენის „ბაიერნიდან" და გეორგიადისი ათენის „პანათინაიკოსიდან". მიმომხილველები ფიქრობენ, რომ კარგად უნდა ამოქმედდეს თავდამსხმელთა დუეტი შირერი – გივარში.

უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა სამი კარგად ცნობილი კლუბი". „ნოტინგემ ფორესტი", „მიდლსბრო" და „ჩარლტონი". პრეტენზიულ „მიდლსბროს" კვლავინდებურად ბრაიან რობსონი წვრთნის, რომელმაც სიტყვა არ გატეხა და კლუბი ერთ სეზონში დააბრუნა უძლიერესთა შორის. ახლა კლუბში აღმოჩნდა ორი მეტად გამოცდილი ფეხბურთელი პალისტერი და მსოფლიო ჩემპიონატის გამოტოვებით განაწყენებული გასქოინი.

დაიძრა ინგლისის ათთვიანი მარათონი, ევროპაში და, რა თქმა უნდა, მსოფლიოშიც ერთ-ერთი უძლიერესი ლიგა.

**ბიჭი თორელი**

**P.S. უკანასკნელი ცნობებით, „ნიუკასლ იუნაიტედის" მწვრთნელად კენ დალგლიშის ნაცვლად დაინიშნა ჰოლანდიელი რუუდ გულიტი.**

## ორ ფინალში რომ ერთ ბურთსაც ვერ გაიტან

**ის გარემოება, რომ ბრაზილიის ნაკრები ორჯერ ზედიზედ გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, 1994 წელს გაიმარჯვა, 1998 წელს კი მეორე იყო, სრულიადაც არ ამშვიდებს ამ ქვეყნის წამყვან საფეხბურთო მიმომხილველებს. ისინი სრულიად დასაბუთებულად ამტკიცებენ, რომ ნაკრებს ბევრი რამ აკლია: ორი ფინალური მატჩის ძირითად დროში მან ერთი გოლიც კი ვერ გაიტანა!**

**ახალმა მწვრთნელმა, უპირველეს ყოვლისა, თავდასხმის თამაში უნდა გააუმჯობესოს — ასეთია ექსპერტების დასკვნა.**

## ფეხბურთი ფეხბურთია და არა პოლიტიკა

კიევის „დინამოს" მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. კრავჩუკმა, განაცხადა, რომ 5 სექტემბრის შეხვედრა კიევში უკრაინისა და რუსეთის ნაკრებებს შორის მხოლოდ საფეხბურთო მატჩია და ნუ ვაძლევთ მას პოლიტიკურ მნიშვნელობას.

უკრაინის ტელევიზიის გამოსვლისას იგივე აზრი გამოთქვა კიევის „დინამოს" წამყვანმა თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ. მან განაცხადა, რომ ბრძოლა, რა თქმა უნდა, მეტად მძაფრი იქნება, მაგრამ გულშემატკივართა დაპირისპირებამ არაჯანსაღი ხასიათი არ უნდა მიიღოს.

## რას ნიშნავს «R-9»

**ასე ეწოდება რიო-დე-ჟანეიროს ფეშენებელურ რაიონ ლებლონში გახსნილ რესტორანს, რომელიც რონალდოს ეკუთვნის. ამასთან დაკავშირებით ბრაზილიელმა ტორსედორესებმა, რომლებიც გულმოკლული არიან ნაკრების გამოსვლით მსოფლიო პირველობაზე, ღვარძლიანად განაცხადეს, რომ მათი კერპი უკეთესი ყოფილა კომერციულ საქმიანობაში, ვიდრე ფეხბურთის მინდორზე.**

**„R-9" რონალდოს კომერციული მარკაა, ხოლო რესტორანი კი სამსართულიანი. პირველი სართული ყველასათვის არის განკუთვნილი, მეორეზე საცეკვაო დარბაზია, მესამე კი ხსენებულ განთქმულ სტუმრებს მიიღებს, „მეტად მნიშვნელოვანი პერსონის" კატეგორიას რომ მიეკუთვნებიან.**

# ფიქრები ფეხბურთის მომავალზე



## კარლოს ალბერტო პარეირა (ბრაზილია)

1994 წელს ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი გახდა. წლეულს საუდის არაბეთის ნაკრებს ხელმძღვანელობდა. საერთოდ კი, როგორც მწვრთნელი, მსოფლიოს 6 (!) ჩემპიონატში მონაწილეობდა.

პარეირა თვლის, რომ ნებისმიერი ნაკრების მუშაობის ეფექტიანობა შემდეგ ფაქტორებზეა დამოკიდებული:

1). მიზანი, რომელიც გუნდმა დაისახა, კოლექტივის ყველა წევრის ერთიანი შეთანხმებული მუშაობით უნდა იქნას უზრუნველყოფილი. ბრაზილიის 1994 წლის ნაკრებში 45 კაცი მუშაობდა. აქედან 22 ფეხბურთელი იყო, დანარჩენი 23 კი მწვრთნელები, ექიმები, მასაჟისტები, მეცნიერმუშაკები, მენეჯერი, ადმინისტრატორები და ა.შ.

2). გუნდმა, რომელსაც სურს მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებას მიაღწიოს, თავის აზროვნებაში უნდა დაძლიოს ტრადიციული მითი იმის შესახებ, რომ მსოფლიო ჩემპიონები ან პრიზიორები აუცილებლად ცნობილი გუნდები (ბრაზილია, არგენტინა, იტალია, გერმანია) უნდა გახდნენ. კოლექტივის ყველა წევრი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ სწორედ მის გუნდს შეუძლია დიდი წარმატების მიღწევა.

3). უნდა შეიქმნას თამაშის ეფექტიანი სტილი. იმ რევოლუციის შემდეგ, რაც ფეხბურთში ჰოლანდიის ნაკრებმა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მოახდინა, ბრაზილიის ნაკრები სხვადასხვა სქემებით თამაშობს. ერთი მათგანია 3-4-3. ამ სქემაში განსაკუთრებული როლი ნახევარმცველებს ენიჭებათ, რომლებმაც შეტევას უნდა შეუწყონ ხელი, თავისუფალ ზონებში შეიჭრან ან შექმნან ისინი თავდამსხმელებთან ურთიერთქმედებისას. ამავე დროს, როცა გუნდი ბურთს კარგავს, სწორედ ეს ნახევარმცველები უნდა მონაწილეობდნენ დაცვით ოპერაციებში.

თითოეულმა გუნდმა საკუთარი სტილი უნდა შექმნას და თავს მოახვიოს იგი მეტოქეს, მის სტილს კი არ უნდა შეეგუოს.

თამაშის სტილში პარეირა გამოჰყოფს: 1) დაცვას, რომელიც ზონური პრინციპით არის აგებული. საჭიროა ზონის კონტროლი და არა მეტოქის მოთამაშისთვის პერსონალური „მეურვეობა". 2) მცველები უნდა თამაშობდნენ სქემით „ოთხნი ხაზზე". 3) ბურთის კონტროლის უნარს, მოულოდნელი შეტევის მომზადებას იმ შემთხვევაშიც კი, როცა საიერიშო გაგრძელებები აშკარად არ მოსჩანს.

პარეირა თვლის, რომ საჭიროა „მატჩის მატჩამდე მოგება". ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკლებლივ ყველა საორგანიზაციო საკითხი გადაწყდება და მწვრთნელები და მოთამაშეები მხოლოდ თამაშზე იფიქრებენ.

პარეირა თვლის, რომ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც გამარჯვებისაკენ მიისწრაფიან, მთელი რიგი მოთხოვნილებები უნდა წავუყენოთ. ისინი მეტოქეებს შემდეგი მონაცემებით უნდა აღემატებოდნენ:

1) ერთი გუნდის მოთამაშეები ერთმანეთს უნდა ეჭიბრებოდნენ, თუ ვინ მოხვდება ძირითად შემადგენლობაში.

2) ისინი მეტოქეებს ინტელექტით უნდა აღემატებოდნენ. პარეირა თვლის, რომ უპირატესობა ინტელექტის სფეროში მიგვიყვანს უპირატესობამდე ტაქტიკურ აზროვნებაში, ოპტიმალური ტაქტიკური გადაწყვეტილების მიღებაში.

3) მოთამაშეებს უნდა შეეძლოთ მინდორზე უნივერსალიზმის გამოვლენა.

4) უნდა შეეძლოთ გუნდური თამაში თავიანთი ინდივიდუალური ოსტატობა ჯგუფური და გუნდური ამოცანების გადაწყვეტას უნდა დაუმორჩილონ.

5) მეტოქეებზე უფრო ტექნიკურნი უნდა იყვნენ.

6) მეტოქეებზე უფრო მოქნილები და გამოავლინონ საზრიანობა ტექნიკური ილეთების გამოყენებაში.

7) მეტოქეებს სისწრაფეში უნდა აღემატებოდნენ. ამ შემთხვევაში მოახდენენ ზეპ ჰერბერგერის პრინციპის რეალიზაციას: მაქსიმალური ეფექტიანობით შეუტევენ და თავს დაიცავენ.

პარეირა მოკლედ შეჩერდა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატისათვის მოსამზადებელ პერიოდზე (ერთ თვეს ჩემპიონატის პირველი თამაშის წინ). მან აღნიშნა, რომ ბევრმა ნაკრებმა ეს პერიოდი არასწორად გამოიყენა, არ გამოყო მასში 1) მოსამზადებელი და 2) სათამაშო ციკლი. თვით პარეირა ასე მოიქცა: სამი კვირის მანძილზე სანტა-კლარაში შეკრებაზე გუნდი მხოლოდ ვარჯიშობდა, შემდეგ კი 10 დღის განმავლობაში 3 საკონტროლო მატჩი გამართა. ამ ხნის განმავლობაში კოლექტივის ყველა წევრი შეწყობილად მუშაობდა; არავინ იყო გულხელდაკრეფილი. ეს მომენტი მას ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნია, რადგან კოლექტივის 23 „არაფეხბურთელთაგან" 17 უშუალოდ მოთამაშეების მომსახურებით იყო დაკავებული, თითოეულს თავისი საქმე ჰქონდა.

პარეირა გუნდის იმიჯის შექმნის საქმეში ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს პრესასთან ურთიერთობას, ჟურნალისტებს თავიანთი ამოცანები აქვთ, ზოგ მათგანს გუნდის შესახებ ნორმალური ინფორმაციის მიღება კი არ აინტერესებს, არამედ სხვადასხვა სენსაციური ამბავი, თუნდაც მთლად სარწმუნო არა. ასეა თუ ისე, პარეირა ყოველთვის ცდილობდა პრესა მის მხარეზე ყოფილიყო.

პარეირა დიდ ყურადღებას უთმობს მოთამაშეების ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედების ანალიზს. მან სიმპოზიუმის მონაწილეებს თავისი ნაკრების მოთამაშეების მოქმედების ამსახველი სლაიდები უჩვენა. წუნის პროცენტი ნაკრების მოთამაშეების უმრავლესობას ძალზე უმნიშვნელო ჰქონდა. პარეირამ აღნიშნა, რომ იმისათვის, რათა ერთი გოლი გაიტანონ, ნაკრების მოთამაშეებმა დაახლოებით 5 საგოლე სიტუაცია უნდა შექმნან.

ბრაზილიისა და სხვა ქვეყნების ნაკრებებში, რომელთაც პარეირა ედგა სათავეში, იგი ამ ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედების ნიმუშებს მოდულად იყენებდა და თვლიდა, რომ იმ გუნდმა, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლა სურს, წუნის პროცენტი უნდა შეამციროს, ხოლო ეფექტიანობა გაზარდოს.

შემდეგ პარეირამ ილაპარაკა სათამაშო სისტემებზე 4-6-0, 4-5-1, 3-6-1 და მცველების თამაშზე „ოთხნი ხაზზე". მან აღნიშნა, რომ როგორც ეს სისტემები, ბევრი სხვაც წმინდა პირობითია. თამაშის მთელი ფილოსოფია, პარეირას სიტყვით, ბურთის ფლობას ემყარება. არის ორი სიტუაცია: 1) ბურთი ჩვენ გვაქვს და 2) ბურთს მეტოქე ფლობს. მოთამაშეების განლაგება მინდორზე და მათი კონკრეტული ამოცანები ამ სათამაშო ეპიზოდში მხოლოდ ამაზეა დამოკიდებული.

ყველა საფეხბურთო ქვეყანაში პირველ ადგილზეა მოთამაშეების მენტალიტეტი. პირველ რიგში სწორედ მისი განვითარებაა საჭირო. სხვადასხვა რეგიონში მომზადების ცალკეულ კომპონენტებს სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება. ბრაზილიაში ყურადღებას აქცევენ 1) ფიზიკურ, 2) ტაქტიკურ და 3) ტექნიკურ მომზადებას, ევროპაში კი 1) ტექნიკურ, 2) ტაქტიკურ და 3) ფიზიკურს. სწორედ ამიტომ არის, რომ ამ ბოლო ხანებში ასე გაიზარდა იმ დატვირთვების მოცულობა, რომელიც ბრაზილიელი ფეხბურთელების ფიზიკური თვისებების სრულყოფას სჭირდება.

# რეკლამის აკრძალვას ნორვეგიელთა ნაკრები ემსხვერპლება

„ლელო" იტყობინებოდა რა ელის 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ჰოკეიში თუ მასპინძლები (პირველობა ნორვეგიაში უნდა ჩატარდეს) არ „გადაუხვევენ" ამ ქვეყნის კანონს ალკოჰოლიანი სასმელების რეკლამას რომ კრძალავს. საქმე ისაა, რომ გერმანულმა ლუდის ფირმამ „ვარშტაინერმა", რომელიც მომავალი ჩემპიონატისა და საერთოდ, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთი უმსხვილესი სპონსორია, მილიონები ჩადო თავისი ლოგოტიპისათვის, რომელიც უნდა იყოს ალბეჭდილი ჰოკეისტთა სვიტერებზე და სარეკლამო ფარებზე. ამგვარად, ალკოჰოლური სასმელების რეკლამა წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ნორვეგიის კანონთან, რომელიც მას შემდეგ შევიდა ძალაში, რაც ნორვეგიის ჰოკეის ფედერაციას მილებული ჰქონდა (1995 წელს) ჩემპიონატის ჩატარების უფლება.

ამ საკითხთან დაკავშირებით საორგანიზაციო კომიტეტმა მიმართა ნორვეგიის მთავრობას. საკითხი ქვეყნის სოციალურ საქმეთა მინისტრმა უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ დადებითი ძვრა ჯერ არ ჩანს.

სხვა რომ არაფერი, თუ მინისტრი განზე გადადებს საორგანიზაციო კომიტეტის მიმართვას და ნორვეგია დაკარგავს ჩემპიონატის ჩატარების უფლებას, ამ ქვეყნის ნაკრები გამოემშვიდობება ჩემპიონატში მონაწილეობას, რომელიც მან მიიღო როგორც პირველობის მასპინძელმა ქვეყანამ.

— ეს დიდი დარტყმა იქნება, — განაცხადა ნორვეგიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ცნობილმა შვედმა სპეციალისტმა ლეიფ ბორკმა — „მშვიდობით, ჩემპიონატო". ამით ნორვეგიის ნაკრები ამ სეზონში „ა" ჯგუფსაც დაემშვიდობება, ამდენად, ნორვეგიის ჰოკეის „უანგბადი" რომ არ გადაეკეტოს, საჭიროა ჩვენმა გუნდმა მონაწილეობა მიიღოს ჩემპიონატში. ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

# ფორმულა-1: „ჯორდანმა" პირველად გაიმარჯვა

*ედი ჯორდანი სიხარულისაგან პავშვივით დახტოდა — ბელგიის დიდი პრიზი მისი გუნდის პილოტმა დაიმონ ჰილმა რომ მოიპოვა, მეორე ადგილიც თანაგუნდელმა რალფ შუმახერმა ირგუნა. არადა, ჯორდანი, მას შემდეგ, რაც ლიდერობა ჰილის ხელში გადავიდა, სულ იმის ფიქრში იყო, თავის ორ პილოტს შორის პირველობისათვის ბრძოლაში რაიმე ინციდენტი არ მომხდარიყო.*

*რბოლის პირველი სტარტი ავარიით აღინიშნა — დევიდ კულჰარდის მანქანას ბევრი ბოლიდი შეეჯახა. მეორე სტარტზე კი ჰილმა იმარჯვა: აქაც ბრიტანელმა პილოტმა ძლივს აუარა გვერდი ავარიაში მოყოლილ რამდენიმე მანქანას.*

***ბელგიის დიდი პრიზი.** 1. დაიმონ ჰილი (ბრიტანეთი, „ჯორდანი"), 2. რალფ შუმახერი (გერმანია, „ჯორდანი"), 3. ჟან ალეზი (საფრანგეთი „ზაუბერი"). **საერთო პირადი ჩათვლა:** 1. ჰაკინენი – 77 ქულა, 2. მ. შუმახერი – 70, 3. კულჰარდი – 48.*

***გუნდური ჩათვლა:** „მაკლარენი" – 125 ქულა, 2. „ფერარი"-102, 3. „უილიამსი" – 33.*

# ზურაბ სოტკილავას გზით

***მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რუსეთელი მოკრივე ოლეგ საითოვი გამოჩენილი ქართველი მომღერლის ზურაბ სოტკილავას გზას დასდგომია, ისიც სპორტული სარბიელიდან სცენაზე გადაინაცვლებს***

ამას წინათ მოკრივემ ხმისჩამწერ სტუდიას მიაკითხა და თავისივე მუსიკაზე და სიტყვებზე შექმნილი სიმღერების ორი მაგნიტური ალბომი ჩაწერა. ალბომს კი „პირველი რაუნდი" და „მეორე რაუნდი" ჰქვია. კასეტებზე, რომელიც სამარისა და ჟიგულიოვსკის კიოსკებში უკვე იყიდება, საითოვი გამოსახულია მოკრივის ხელთათმანებითა და რადიო-ყურსაცვამით.

ასე განხორციელდა მოკრივის დიდი ხნის ოცნება, რომელსაც მარტო ახლობლებს ანდობდა. იგი კარგა ხანია სიმღერებს წერს, მაგრამ მხოლოდ ახლა, ახლობლებისა და მეგობრების, ვისაც გიტარის თანხლებით მისი სიმღერები მოუსმენია, დაჟინებითი მოთხოვნით გადაწყვიტა თავისი ნალვაწი სამსჯავროზე გამოეტანა. ეს სიმღერებია, რაღა თქმა უნდა, სპორტზე, აგრეთვე მეგობრობაზე, სიყვარულსა და ცხოვრების შესახებ საერთოდ.

ახალ ამპლუაში მაყურებელთა წინაშე „ცოცხლად" კი საითოვი სამარაში წარსდგა, სადაც მან მრავალათასიანი გულშემატკივრის აღფოთრვანებულ ყვირილისა და მოცეკვავე კანჭა გოგონების თანხლებით შეასრულა თავისი კომპოზიციის რამდენიმე სიმღერა.

— მსახიობი სცენაზე გამოსვლამდე ისევე ღელავს, როგორც მოკრივე რინგზე გასვლამდე, — თქვა მან, — ეგ არის, რომ რინგის კვადრატზე მეტოქეს უნდა სძლიო, აქ კი — მსმენელს.

ოლეგ საითოვმა კორესპონდენტს ისიც უთხრა, რომ იმედოვნებს, მისი შემოქმედება „შეუმჩნეველი" არ დარჩება და მომღერალ-მსახიობის გზას დაადგება.

ამის მაგალითებია: ხულიო იგლასიესი, მადრიდის „რეალის" ყოფილი ფეხბურთელი და ქართველი ზურაბ სოტკილავა — თბილისის „დინამოს" ყოფილი მცველი.

მით უმეტეს, რომ მას წინ აქვს „მესამე რაუნდი", რომელშიც იგი განსაკუთრებით ძლიერია.



# დაიმახსოვრეთ ეს სახელი

ინგლისელი ნეილ ფინგლტონი პროფესიული კალათბურთის ამომავალი „ვარსკვლავია". იგი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა და ზრდა არ დაუსრულებია – 220,5 სანტიმეტრი, ცხადია, ზღვარი არ იქნება. მაგრამ ერთია სიმაღლე, სხვაა სპორტული ოცნება და ჟინი. ნეილის ოცნება კი სწორედ დიდი კალათბურთელობაა. ამ სურვილმა გაუყენა იგი ბედის საძიებელ გზას და ერთ მშვენიერ დღეს აშშ-ში ამოჰყო თავი. იქ კი, მოგეხსენებათ, მისნაირ ყმაწვილზე საკალათბურთო კლუბები, როგორც იტყვიან, პირდაპირ ნადირობენ. მასაჩუსეტსის სპორტულმა სკოლამ თავის თავზე აიღო ინგლისელი ყმაწვილის მეურვეობა და პირობებიც შესანიშნავი შეუქმნა. ფინგლტონის ამბავი მალე გახმაურდა და ამერიკის უნივერსიტეტები რიგში დგანან, რათა როგორმე თავისკენ გადაიბირონ ახალი „ვარსკვლავი".

თურმე ნეილის და-ძმებიც ასეთივე გიგანტები ყოფილან.


# „ტოტო-ლოტო" – მოთამაშეთა სიხარული!

*30 აგვისტოს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის მეთვრამეტე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვები: **3. 11. 22. 33. 36. 37.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – საპრიზო ფონდი 912 გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
4 ციფრი – 13.10 ლარი.
3 ციფრი – 1.70 ლარი.

**„ჯეკ-პოტი" 51.860 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

„სუპერ-7"-ის მომგებიანი ციფრებია: **6. 3. 9. 9. 9. 5. 4.**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 6 სექტემბერს, ჯეკ-პოტი **51.860** ლარი.

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი


სამწუხაროა. მაგრამ. ფაქტია!

# „მეგობრობა – სპორტისა და კულტურის საშუალებით"

ამ დღევიზით ჩატარდა ჰოლანდიის დედაქალაქის „ამსტერდამ არენაზე" მამათმავალთა და ლესბოსელთა საერთაშორისო სპორტული თამაშები, რომელშიც 68 ქვეყნის 15 ათასი სპორტსმენი (ყველაზე მეტი აშშ-დან იყო – 5 ათასი) მონაწილეობდა. ასპარეზობის დახურვის ალლუმზე ქალაქის ბურგომისტრმა ასპარეზობის ალამი გადასცა სიდნეის წარმომადგენლებს, რომელთა ქალაქი ახალ ათასწლეულში — 2002 წელს მორიგ „გეი გეიზმს" მიიღებს.

თამაშების კომპიუტერმა დააფიქსირა სანკტ-პეტერბურგის ერთი, და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან თითო-ოროლა მონაწილე.

სპორტის 35 სახეობაში გათამაშდა მედლების კომპლექტები, თუმცა, სამახსოვრო მედალი ყველა მონაწილეს ხვდა. თამაშები ტრადიციული მარათონით დამთავრდა.

„გეი გეიზმმა" მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 200 ათასი მაყურებელი მიიზიდა. შეჯიბრების გარდა წარმოდგენილი იყო ფართო კულტურული პროგრამა, ერთ-ერთი თემატური საღამო მიეძღვნა შიდსთან ბრძოლას, „დიურექსის" ცნობილმა ფირმამ კი უფასოდ დაარიგა 70 ათასი პრეზერვატივი.

თამაშებზე სულ 7 მილიონი დოლარი დაიხარჯა, რომელიც 56 სპონსორმა გაიღო.





**1 სექტემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზიის I არხი.*** „ასპარეზი" (22.40). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.50). ***რუსეთის ტელევიზია. REN.TV.*** სპორტკურიერი (0.00). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (21.40). ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთის გაკვეთილები (7.05). მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (7.45). ჩოგბურთი (9.55; 18.55). ჭადრაკი (15.55). კრივი (16.25). ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (17.30). ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი (18.00). მძლეოსნობა (21.30). ***EUROSPORT.*** მძლეოსნობა (10.30). ავტოსპორტი (12.00; 21.00; 2.00). ფეხბურთი (14.00; 18.30; 1.00). კრივი (23.00).

**2 სექტემბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „გოლი" (21.30). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***რუსეთის ტელევიზია. ТВ центр.*** კალათბურთი. ცსკა – „ცრვენა ზვეზდა" (19.55). ავტო და მოტოსპორტის სამყაროში (1.15). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (21.40). ***НТВ плюс спорт.*** ბოდიბილდინგის გაკვეთილები (7.05; 16.10). ფეხბურთი (7.45; 8.15). კალათბურთი (9.20; 17.25). გოლფი (16.55). ჩოგბურთი (10.50; 18.55). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (10.30). მოტოსპორტი (14.00, 19.00; 2.00). წყლის თხილამურები (14.30). ჩოგბურთი (15.00). ველოსპორტი (17.00).

**3 სექტემბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). ***რუსეთის ტელევიზია. ORT-1.*** „მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეები" (23.20). ***ТВ центр.*** კალათბურთი (19.55). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (21.40). ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები (7.05; 14.05). გოლფი (7.45). ჩოგბურთი (8.15; 18.55). მძლეოსნობა (14.20). ფეხბურთი (18.30). ***EUROSPORT.*** აფროსნობა (10.30). ფორმულა-3000 (12.00). ფეხბურთი (14.00; 16.30; 22.30). მოტოსპორტი (15.00; 1.30). ველოსპორტი (18.30; 20.30).

**4 სექტემბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი: საქართველო – ალბანეთი (ახალგაზრდული ნაკრები) – 16.55. „ასპარეზი" (23.00). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.50). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***რუსეთის ტელევიზია. НТВ.*** საფეხბურთო კლუბი (18.00). ***ТВ центр.*** საცხენოსნო სპორტი (10.20, 0.00). ***REN TV.*** სპორტკურიერი (20.45). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (21.40). ***НТВ плюс спорт.*** საჭადრაკო გაკვეთილები (7.05; 15.10). ფეხბურთი (7.45; 16.20). ჩოგბურთი (9.20; 18.55). კრივი (18.10). ***EUROSPORT.*** მოტოსპორტი (10.30; 15.00; 16.00; 17.15; 21.15, 1.30). კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი (13.00; 18.30). ტრიატლონი (20.15). კრივი (0.30). ფეხბურთი (22.00; 22.30).

**5 სექტემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ევრო-2000. ფეხბურთი: საქართველო – ალბანეთი (18.55). ***II არხი.*** ავტოსპორტი (20.20). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. ORT-1.*** ევრო-2000. ფეხბურთი: უკრაინა-რუსეთი (19.50). ***PTP.*** მძლეოსნობა (17.00). ***ACT.*** სპორტული პროგრამა (20.35). ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთის გაკვეთილები (9.40; 15.15). ჩოგბურთი (9.55; 18.55). ფიფას ჟურნალი (15.30). ავტოსპორტი (16.00). ***EUROSPORT.*** ექსტრემალური სპორტი (10.30; 11.00; 22.00). მსოფლიო ჩემპიონატი კანოეში (12.00; 12.30; 13.05). ავტოსპორტი (13.00; 20.00). მოტოსპორტი (14.30; 15.00; 16.00; 2.00). მძლეოსნობა (17.00). კრივი (3.30). ფეხბურთი. ევრო-2000 (0.00). კარტინგი (3.00).

**6 სექტემბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „სუპერმატჩი" (21.00). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***კავკასია.*** „ფეხბურთის ლეგენდები" (14.35). „ვარსკვლავები" (18.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (16.05). ***НТВ.*** „სპორტი" (0.40). ***НТВ центр.*** საცხენოსნო სპორტი (16.20). ***REN TV.*** სპორტკურიერი" (20.45). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (20.35). ***ТВ плюс спорт.*** „სპორტ-კოქტეილი" (9.00). ჩოგბურთი (9.55; 18.55). ველოსპორტი (13.10). კალათბურთი (17.50). ჭადრაკი (18.25). ***EUROSPORT.*** მსოფლიო ჩემპიონატი კანოეში (11.00; 12.30; 19.00). მოტოსპორტი (11.30; 13.05; 3.00). ავტოსპორტი (17.00; 0.00). ველოსპორტი (18.15). ფეხბურთი (22.00). კარტინგი (1.00).

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს ვეტერან ძიუდოისტს, ევროპის ჩემპიონსა და პრიზიორს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ფირუზ მარტყოფლიშვილს მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სუმოს ეროვნული ფედერაცია თანაუგრძნობს ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ფირუზ მარტყოფლიშვილს მამის გარდაცვალების გამო.**



# საფეხბურთო კროსვორდი „საფრანგეთი-98"

**თარაზულად:** 4. „სკუადრა აძურას" ფორვარდი, 5. საფრანგეთის ნაკრების მცველი, 7. არგენტინელი მცველი, 8. იამაიკელი მცველი, 10. არგენტინელი თავდამსხმელი, 13. იტალიის ნაკრების მწვრთნელი, 14. იამაიკელი ნახევარმცველი, 16. ავსტრიელი ნახევარმცველი, 20. არგენტინელი ნახევარმცველი, 21. ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი, 24. იაპონელი მცველი, 25. კორეის ნაკრების ერთ-ერთი მეკარე, 27. ირანელი თავდამსხმელი, 28. ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი, 30. მსოფლიო ჩემპიონატზე ვერმოხვედრილი აფრიკული ქვეყნის ნაკრები.

**შვეულად:** 1. ჩილელი ნახევარმცველი, 2. კლუბი, რომელშიც მონდიალამდე გამოდიოდა რობერტო ბაჯო, 3. მალდინი, კოსტაკურტა, ალბერტინი (კლუბი), 6. ვეტერანი იტალიელი მცველი, 9. იტალიელი ნახევარმცველი, 11. ტუნისელი მცველი, 12. ინგლისელი მეკარე, 14. ბრაზილიელი ფორვარდი, 15. კამერუნელი ნახევარმცველი, 17. ავსტრიელი ნახევარმცველი, 18. აფრიკის ერთ-ერთი ქვეყნის ნაკრები, რომელსაც სათავეში ედგა პოლონელი მწვრთნელი, 19. ინგლისელი ნახევარმცველი, 22. კორეის ნაკრების მწვრთნელი, 23. კორეელი ნახევარმცველი, 26. კონტინენტი, სადაც გაიმართება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი, 29. ფრანგი მეკარე.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:** ფოტოზე აღბეჭდილია მსოფლიო ფეხბურთის 7 ვარსკვლავი — ეუსებიო, ჟიუსტ ფონტენი, ფრანც ბეკენბაუერი, პელე, ბობი ჩარლტონი, ჯოვანი ფაკეტი, რინუს მიჰელსი.

# საჭადრაკო ამოცანა

ნიკოლოზ გაბაშელაშვილი
(ზესტაფონი)

ეძღვნება ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობის 26 საუკუნოვან იუბილეს

ამოცანა №1 ამოცანა №2



შამათი 2 სვლაში შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. მd5! მუქარა
2. ლ:c6+ მფ:a8 3. მb6X.
1. ...მფc6 2. ლ:c6+მფb5 3. ეa5X.
2. ...მფ:d5 3. ეd8X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე